ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 9 ივლისი 2004 №156 (2177) ფასი 50 თეთრი

# ევროპა ეძებს რეჰაგელს



## საქართველომ ჟირესი ევროპამდე მოასწრო

საბერძნეთის გამარჯვებით დასრულებულმა ჩემპიონატმა ევროპული ბობოლები ისე დააწიოკა, რომ გერმანიის, საფრანგეთისა და ჰოლანდიის ნაკრებები უთავოდ დარჩნენ.

ჰოლანდიელებს მუქარით დაშინებული დიკ ადვოკაატი გაექცათ და „ნარჯისფერებმა“ ჯერ არ იციან, ცარიელი ადგილს ვინ შეავსებს.

საფრანგეთში კანდიდატების მხრივ გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს, რადგან „მოკრიფეს“ და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ კლოდ სიმონეს ჩააბარეს მრავალმწვრთნელიანი ნუსხა. სიმონემ ახედ-დახედა და კითხვით რომ დაილალა, ნუსხა შეამცირა. არჩევანი, ფაქტობრივად, ორ კაცს შორის გაკეთდება. ჟან ტიგანა ან როლან ბლანი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ტიგანას სამწვრთნელო გამოცდილებაც აქვს და თან პლატინის მეგობარია, მას უფრო მეტი შასნი აქვს ნაკრების თავკაცობისა.

რაც შეეხებათ გერმანელებს, საფეხბურთო კავშირის შენობის დერეფნებში თანამშრომლები ერთმანეთს ეხეთქებიან, ისეთი გამალებული ძებნა მიდის ახალი მწვრთნელისა, მაგრამ ამაოდ. რეჰაგელი საბერძნეთში დარჩა, ჰიცფელდმა კი გუშინ თქვა უარი.

დღევანდელი საფეხბურთო ევროპა ასეთია, მწვრთნელს დიდებიც კი ველარ პოულობენ.




## ინტერი მანჩინოსანია

## ჩვენს საქმეს მარტო მოხსნა ვერ შველის

საქართველოს კადეტთა ნაკრებმა საბერძნეთში მოლოდინისამებრ მოუგებლად გაასრულა ევროჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ჯგუფური ეტაპი და ახლა 9-16 ადგილებისთვის მოუწევს ბრძოლა. ნიკო ჩერქეზიშვილის გუნდმა უწინდელზე ოდნავ მეტი მონდომებით ითამაშა სერბების წინააღმდეგ და 68:79 დამარცხდა. ერთი, რაშიც ქართველებს ჯგუფური ეტაპის შემდეგ დაეკვეხნებათ, რიჩარდ მათიაშვილის კარგი თამაშია. მათიაშვილმა ტურნირი აყალმაყალით დაიწყო: პირველ მატჩში უდისციპლინობის გამო ოდენ 11 წუთი ითამაშა, მაგრამ შემდეგ გონს მოეგო და მომდევნო ორ შეხვედრაში იმდენი მოახერხა, ჯგუფური ეტაპის საუკეთესო მომხსნელი გახდა, ბომბარდირთა დავაში კი მხოლოდ სლოვენიელ დეიან მლეკარს ჩამორჩა. წინ არანაკლებ საპასუხისმგებლო მატჩებია, ქართველებს A კატეგორიის გუნდებში დასარჩენად მოუწევთ ბრძოლა, რისთვისაც პლეი ოფს მილმა დარჩენილ 8 ნაკრებში, სულ მცირე, მეექვსე ადგილზე უნდა გავიდეს.



ნიკო ჩერქეზიშვილი

# ჟორდანიამ მოდებაძე სურკისს გადააბარა



ირაკლი მოდებაძე

**უეფას თასზე** მოთამაშე „თბილისმა“ ყბადაღებული თავდამსხმელის პრობლემა გადაჭრა — გიორგი მიქაძე შეიძინა, რომელიც სადღეისოდ უკონკურენტო ჩანს გიორგი დევდარიანის გუნდში. მის გარდა კი თბილისელებმა გოგა მოდებაძეც გადაიბირეს და თითქოს მისი ძმის, ირაკლის საქმეც უნდა მოეგვარებინათ, მაგრამ ძალიან კი გაუჯანჯლდათ.

— ზაპოროჟიეს „მეტალურგი“ თითქმის ყველა პირობაზე მოდიოდა და მოდებაძის საკითხიც ფაქტობრივად გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ბოლოს გამოგვიცხადეს, რომ გუნდში ახალი მწვრთნელი მოვიდა და თუ ის იტყვის ირაკლიზე უარს, მაშინღა დაგითმობთო — გვითხრა „თბილისის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა *მამუკა ჯუღელმა შვილმა*.

როგორც გავიგეთ, საქმის გასაჩარხად „თბილისის“ ხელმძღვანელობას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანიაც შეუწუხებია, მან კი თავის მხრივ დახმარება უკრაინელ მეგობარსა და ამ ქვეყნის ფეხბურთის თავკაც გრიგორი სურკისის სთხოვა.

ასე რომ, თბილისელები ირაკლი მოდებაძის ტრანსფერს უკვე იმედით ელიან.

**დავით ერაძე**



გიორგი ანჩაბაძეს (შუაში) „პარალიმნი“ ელის

# ანჩაბაძეს კვიპროსის გზა გაუხსნეს

20 ივლისს კვიპროსული „პარალიმნი“ იკრიბება და საახალსეზონო მზადებას იწყებს. გადაწყვეტილია, რომ პარალიმნელ ქართველ ლევან ქებაძეს იმ დროისთვის გიორგი ანჩაბაძეც შეუერთდება. მანამდე კი ანჩაბაძე თბილისში ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობს. დღეს კი იგი კვიპროსულ ვიზას სამუშაო უფლებითაც მიიღებს.

— კვიპროსზე 4-5 დღეში უნდა ჩავიდე. 20 ივლისამდე, სანამ გუნდი შეიკრიბება, თანაგუნდელებს და „პარალიმნის“ პირობებს ერთხელაც გავეცნობი, ადაპტაციიის პერიოდსაც გავივლი და ახალ გუნდში სრული დატვირთვით დავიწყებ მზადებას. რაც მთავარია, კვიპროსზე უვარჯიშებელი არ ჩავდივარ. სათამაშო ფორმას კი გუნდთან ერთად მალე ავიღებ — გვითხრა გუშინ *გიორგი ანჩაბაძემ*.

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ ანჩაბაძეს უცხოეთში 1998-99 წლებშიც უთამაშია. ის ებრაული „ჰაპოელის“ და ბელგიური „რასინგ-მეხელენის“ ღირსებას იცავდა.

**დავით ერაძე**

### შვედეთი

ალსვენსკა. X ტური

ჰამარბი 2:1 ჰელსინგბორგი

იორებრო 0:0 გიოტებორგი

ტრელებორგი 0:1 ელფსბორგი

### ირლანდია

პრემიერლიგა

XX ტური

დერი 0:0 შელბურნი

დუბლინი 2:1 ლონგფორდი

### ფინეთი

ვეიკასლიგა. XIII ტური

ალიანსი 0:0 ჰაკა

ინტერი 5:1 იარო

ლაჰტი 1:2 ტურკუ

როვანიემი 2:0 ჰიკ

### ისლანდია

პრემიერდივიზიონი. IX ტური

ვიკინგური 1:0 გრინდავიკი

კეფლავიკი 1:1 ფრამა

# კუნთს ასათიანი გააჩერდა

**გუშინწინ** რუსული პრემიერლიგა მოსკოვის „ლოკომოტივისთვისაც“ განახლდა. შეგახსენებთ, რომ წინა ტურში რკინიგზელებს თანაქალაქელ „სპარტაკთან“ უნდა ეთამაშათ, მაგრამ „სახალხო გუნდის“ ინტერტოტოს თასზე მონაწილეობის გამო მატჩი გადაიდო.

ერთი სიტყვით, განახლებული ჩემპიონატის პირველი შეხვედრა „ლოკომოტივმა“ მოსკოვის „დინამოსთან“ სტუმრად გამართა და დაძაბულ ბრძოლაში 4:2 მოიგო. ჩვენ კი ამ მატჩით იმიტომ დავინტერესდით, რომ ორივე გუნდში ქართველი ფეხბურთელები თამაშობენ, თუმც მოედანზე მხოლოდ ერთი, რკინიგზელი მალხაზ ასათიანი გავიდა და ისიც მალევე შესაცვლელი შეიქნა. მისი თანაგუნდელი მიხეილ აშვეთია და დინამოელი ოთარ ხიზანეიშვილი კი თადარიგში იყვნენ.



მალხაზ ასათიანს წყეულმა ტრავმამ „დინამოსთან“ მატჩი არ ჩაამთავრებინა

— ასათიანი ისევ კუნთმა შეაწუხა და სამწუხაროდ, თავიდანვე აგვერია გეგმები. ზუსტად ვერ გეტყვით, რა სჭირს, მგონი, კუნთი გაუწყდა. დანარჩენს ექიმები დაადგენენ — განაცხადა „ლოკომოტივის“ თავკაცმა იური სიომინმა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე.

ბოლო სამ თვეში ამ ტრავმამ ჩვენებურს მესამედ შეახსენა თავი. მალხაზმა ჯერ კიდევ პრემიერლიგის პირველ ეტაპზე ბლომად თამაშები გამოტოვა ამის გამო და მკურნალობაც მეტად გაუჯანჯლდა. ზუსტ დიაგნოზს კი დასტაქრები სამედიცინო გამოკვლევის შემდეგ დაადგენენ.

**ბახა შალამბერიძე**

# სახვაძეს რუმინეთი გაარკვევს

**თბილისის** „ლოკომოტივიდან“ წასული არჩილ სახვაძე რომ მოლდოვურ „შერიფში“ ისინჯება, უკვე ვწერდით. მისი მოლდოვაში დარჩენა-არდარჩენა დღეს უნდა გაირკვეს, როცა ჩვენებურს ამხანაგურ მატჩში გამოცდიან — „შერიფი“ რუმინულ „პოლიტეხნიკას“ ეთამაშება. მატჩი „შერიფის“ ცენტრალურ სტადიონზე გაიმართება და, როგორც მოლდოვური კლუბის ოფიციალური ვებ-გვერდი იტყობინება, გულშემატკივართა დიდი ინტერესიც გამოუწვევია.

დნესტრისპირელები ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის გამალებით ემზადებიან და შემადგენლობის გაძლიერებასაც ამად ეშურებიან. შეგახსენებთ, რომ ახლახან „შერიფთან“ კონტრაქტი კიდევ ერთმა ქართველმა რამაზ გოგინაშვილმა გააფორმა.

სახვაძის ბედი დადებითად თუ გადაწყდა, მისი სალიგო განაცხადში შეყვანაც არ იქნება პრობლემა — უეფას კანონებით კლუბებს სიაში დამატებით კიდევ სამი ფეხბურთელის შეყვანა შეუძლიათ.

**დავით ერაძე**

# მუჯირი ჩემპიონთა ლიგაზე ითამაშებს

**ჯაბა მუჯირი** საქართველოში ტიტულით ბრუნდება — ისპაჰანის „სეპაჰანმა“ ირანის თასი მოიგო.

თასის ფინალის პირველ მატჩში „სეპაჰანმა“ შინ 3:2 დაამარცხა სპარსეთის ყველაზე სახელიანი და ტიტულიანი კლუბი თეირანის „ესტეგლალი“. საპასუხო შეხვედრა თეირანში გაიმართა და მას 85 000 გულშემატკივარი დაესწრო. მუჯირმა ფინალის ისპაჰანურ მატჩში ყვითელი ბარათი მიიღო და თეირანში ველარ ითამაშა.

„სეპაჰანმა“ გასვლაზეც სძლია მეტოქეს — 2:0. ორივე გოლი სეიდ სალეჰიმ გაიტანა და სპარსეთის დედაქალაქიც გააჩუმა.

თასის მოგებით ირანის ჩემპიონატში მეექვსე ადგილზე გასული შარშანდელ ჩემპიონი „სეპაჰანი“ დამდეგ სეზონში აზიის ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს.

**დავით თავართქილაძე**




ჯაბა მუჯირის „სეპაჰანმა“ სეზონი ტიტულით დაამთავრა

# ფოფხაძე: სკამიდან ტრანსფერზე

**იოჰან ბოსკამპის** დროინდელი საქართველოს ნაკრების მცველი ზურაბ ფოფხაძე ნოვოკუზნეცკის „მეტალურგ-კუზბასმა“ ტრანსფერზე დააყენა. ფოფხაძე ამ კლუბში სეზონის წინ უკრაინული „კრივბასიდან“ გადავიდა, თუმც ძირითად შემადგენლობაში ფეხის მოკიდება ვერ შეძლო. არადა, ნოვოკუზნეცკელები რუსულ პირველ დივიზიონში მაჩანჩალები არიან.

ფოფხაძის გარდა „მეტალურგ-კუზბასში“ კიდევ ერთი ქართველი ლევან ბერიშვილი თამაშობს, რომელიც კლუბმა მოსკოვის „ტორპედო-მეტალურგისაგან“ საბოლოოდ გამოისყიდა.

ფოფხაძეზე კი იმასაც გეტყვით, რომ „მეტალურგ-კუზბასისა“ და „კრივბასის“ გარდა სამარის „კრილია სოვეტოვში“ თამაშობდა და წლების მანძილზე ამ გუნდის კაპიტანიც იყო.

**ბახა შალამბერიძე**

# რკინიგზული ექსპერიმენტი

## ლოკომოტივს უზბეკეთში თვალები გაუფართოვდა



დარჩება ირაკლი ვაშაკიძე „ლოკომოტივში“?

თბილისის „ლოკომოტივი“ უზბეკეთში ემზადება საახალსეზონოდ.

რკინიგზელებმა ძირითადი შემადგენლობით სამშაბათს ტაშკენტის „ლოკომოტივი“ 3:0 დაიბრიყვეს. გუშინ კი მწვრთნელმა ზაურ სვანაძემ ახალგაზრდები გამოსცადა — „ლოკომოტივის“ ექსპერიმენტული შემადგენლობა ტაშკენტის „ფახთაქორის“ დუბლებს გაეჯიბრა. მატჩი მასპინძლების გამარჯვებით დასრულდა — 1:0.

„ლოკომოტივის“ შემადგენლობა ასეთი იყო: *ბობლიაშვილი, ხუბუტია, ფოფხაძე, სეთურიძე, ბესარაშვილი, დევიძე, ქლენტი, ავალიანი (დ. დოლიძე 46), ქებაძე, კიკალიშვილი, ლილუაშვილი (მედოევი 46).*

მატჩი თბილისელთა უპირატესობით დაიწყო. კიკალიშვილმა სულაც პენალტი ვერ გაიტანა, ქებაძემ და მედოევმა კი მეკარესთან პირისპირ გასვლა ვერ გამოიყენეს.

მარცხის მიუხედავად „ლოკომოტივის“ მმართველი დირექტორი *ლევან ყიფიანი* თავისი გუნდის თამაშით კმაყოფილი დარჩა:

— ამ მატჩის მთავარი მიზანი ახალგაზრდების საქმეში ნახვა იყო. კმაყოფილი ვარ, ბიჭებმა ძალიან მოინდომეს, დაგვანახვეს, რომ კარგი თაობა გვეზრდება. ჩემი აზრით, რამდენიმე ფეხბურთელს ახლავე შეუძლია ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება.

**— რამდენად კმაყოფილი ხართ უზბეკური შეკრებით?**

— ჩვენს გუნდს ახლა ყველაზე მეტად შეთამაშება და სპარინგმატჩები სჭირდებოდა. ამ მხრივ კი პრობლემები არ გვქონია. 10 ივლისს უზბეკეთის ნაკრებთან მატჩით შეკრებას ვასრულებთ. საერთოდ კი, უზბეკებმა საუცხოო პირობები შეგვიქმნეს. ტაშკენტის „ფახთაქორმა“ თავისი ბაზაც დაგვითმო.



ლევან ყიფიანი

**— თბილისში დაბრუნებისასაც გააგრძელებთ სელექციას?**

— გუნდის დაკომპლექტება ფაქტობრივად დასრულებულია. გასარკვევია მხოლოდ ირაკლი ვაშაკიძის ბედი, რასაც თბილისში გადავწყვეტთ.

**დავით ერაძე**

*ერთი კვირაც და „თბილისი“ სადებიუტო მატჩს გამართავს უეფას თასზე. თბილისელებმა შეკრება დედაქალაქში გაიარეს და ბოლოს [illegible] შევსებაც მიიღეს — გუნდიდან წასული გივი კვარაცხელია დაუბრუნდათ.*

*გივი კვარაცხელიას გუშინ ვარჯიშის შემდეგ შევეხმიანეთ და აქეთურ-იქითურზე ველაპარაკეთ...*

# სახლიდან სახლში

## კვარაცხელია ევროპულ სტიმულზე ლაპარაკობს

**— შენს რუსეთში წასვლას ფაქტობრივად არაფერი აკლდა, თუმცა უკან დაბრუნება მოგიხდა...**

— რას იზამ, თავი უკვე რუსულ პრემიერლიგაში მეგონა, თუმცა რაც მოხდა, მოხდა... კარიერაში კიდევ ერთი მწარე გაკვეთილი მივიღე.

**— ბევრ კლუბზე იყო ლაპარაკი. მაინც რომელი იყო შენით დაინტერესებული?**

— რამდენიმე ვარიანტზე იყო ლაპარაკი, მაგრამ, როგორც ნახეთ, არც ერთი არ გამოვიდა. ეტყობა, მეც ვიჩქარე.

**— „თბილისიდან“ დაუფიქრებლად წასვლა ცოტა უცნაურიც იყო...**

— „თბილისი“ ჩემთვის განსაკუთრებული კლუბია. აქ ყოველთვის დიდ სითბოს ვგრძნობ. ბოლოს და ბოლოს, ნაკრებშიც ამ კლუბიდან მიმიწვიეს. „თბილისი“ მართლაც გამორჩეული, ახალგაზრდული გუნდია. კლუბის დატოვება კი მხოლოდ იმიტომ გადავწყვიტე, რომ გარემოს შეცვლა და სხვა ჩემპიონატში ძალების მოსინჯვა მსურდა.

**— „თბილისში“ დაბრუნებულს ბევრი ახალი ფეხბურთელიც დაგხვდა...**

— გააჩნია, ვის გულისხმობთ. გიორგი მიქაძესთან და ირაკლი მოდებაძესთან ერთად ადრეც მითამაშია. თუმცა მთავარი ისაა, რომ გუნდმა ბირთვი შეინარჩუნა. ყველაზე მეტად კი ის მახარებს, რომ გუნდში კონკურენცია გაიზარდა, ასეთ დროს გუნდიც იზრდება.

**— მალე უეფას თასზე დებიუტი გექნებათ. ფსიქოლოგიურ ზეწოლას ხომ არ გრძნობთ?**

— პირადად არა, თუნდაც იმიტომ, რომ საერთაშორისო გამოცდილება უკვე მაქვს. ჩემ გარდა კლუბში კიდევ არიან ფეხბურთელები, რომელთაც უთამაშიათ საერთაშორისო მატჩებში. დარწმუნებული ვარ, თავს ახალგაზრდობაც არ შეირცხვენს.

**— პირველ ეტაპზე აზერბაიჯანული კლუბი დაუძლეველი ბარიერი არ უნდა იყოს...**

— თამაში დღეს ყველამ ისწავლა და თუ ბოლომდე არ დაიხარჯე, იოლად ვერავის აჯობებ. თუმცა ისიც ცხადია, რომ „დინამოზე“ მეტად ჩვენ გაგვიმართლა და შემდგომ ეტაპზე აუცილებლად უნდა გავიდეთ. ეს დიდ სტიმულს მოგვცემს. მერე კი ვნახოთ, ეგებ შემდეგი მეტოქეც ჩვენი საკბილო გამოდგეს.

**— „თბილისის“ მთავარ ნაკლად ფორვარდთა სიმცირე ითვლებოდა. წლეულს ეს პრობლემაც მოიხსნა. ალბათ ეროვნულ ჩემპიონატშიც სერიოზული მიზნები გექნებათ...**

— წინა ჩემპიონატში ჩვენ სანახაობრივ ფეხბურთს ვთამაშობდით. მომენტებს მრავლად ვქმნიდით, მაგრამ გოლის გატანა გვიჭირდა. ეს თუ გამოვასწორეთ, ვფიქრობ, ჩემპიონობის შანსიც გვექნება.

**დავით ერაძე**



# ფაფუ ფული

## ტორპედოს ჯიბე გაეხვრიტა

**საქართველოს** სამგზის ჩემპიონი ქუთაისის „ტორპედო“ ფინანსური კრიზისშია, ტორპედოელები საახალსეზონოდ კი ემზადებიან, მაგრამ გუნდში ვინ დარჩება და ვინ არა, ჯერაც საკითხავია. ფეხბურთელები უიმედოდ ლოდინს არ აპირებენ, თუმც თბილისურ „ამერში“ გადასული სულიკო დავითაშვილის გარდა ქუთაისს ჯერ არავინ დაშორებია.





ბოლო წლებში ასეთი რამ არ მომხდარა, მაგრამ ახლა მწარე რეალობაა — „ტორპედოს“ ჯიბე ისე გაეხვრიტა, რომ შეკრების გავლაც ვერ მოახერხა. ოთარ გაბელია ბიჭებს საღორიის ბაზაზე ავარჯიშებს.

რაღაცას ვიზამთ, ასე არ დაგტოვებთ, ეს ორი დღეც გვაცალეთ, რამე გამოჩნდება... ასეთ დაპირებებს ფეხბურთელები უკვე რა ხანია, ისმენენ და ძნელი სათქმელია, როდემდე გაგრძელდება ასე. ეგ კი არა, ისიც საკითხავია, როგორ აპირებს „ტორპედო“ პროფლიგის 300 ათას ლარიანი მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

არადა, ცოტა ხნის წინ იმედი გაჩნდა — გეხსომებათ, „ტორპედოსთან“ საქმის დაჭერას მოსკოვის „ლოკომოტივის“ შეფი ვალერი ფილატოვი აპირებდა, ჩავიდა კიდეც ქუთაისში და კლუბის ბაზა და სტადიონი დაათვალიერა, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. ყოველ შემთხვევაში, ქუთათურები ჩივიან, მას შემდეგ მოსკოვიდან არავინ შეგვხმიანებიაო.

**ლუკა თალაკვაძე**

# ჯაკობიას ზაფხული გაუხანგრძლივდა

**გუშინ** ხარკოვის „მეტალისტმა“ უკრაინის ფეხბურთის პროფესიულ ლიგაში საახალსეზონო განაცხადი წარადგინა. გენადი ლიტოვჩენკოს სიაში 32 ფეხბურთელი მოხვდა, თუმც მათ შორის არაა ჩვენებური ლაშა ჯაკობია. ახალგაზრდა ქართველი თავდამსხმელი დაახლოებით ორი კვირაა, „მეტალისტში“ ვარჯიშობს და რამდენიმე ამხანაგურ მატჩშიც ითამაშა, მაგრამ კონტრაქტის გაფორმებას საშველი არა და არ დაადგა. ახლა კი გაირკვა, რომ ლაშა ჯაკობია „მეტალისტის“ განაცხადშიც არ შეიყვანეს, თუმც... შანსი კიდევ არის: უკრაინული წესკანონებით, კლუბებს 31 აგვისტომდე აქვთ უფლება, განაცხადში ცვლილებები მოახდინონ. სატრანსფერო ფანჯარა ამ ქვეყანაში სწორედ ზაფხულის ბოლო დღეს იხურება.

**ქახა შალამბერიძე**

# ერთი თავი დაუწერელი წიგნიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა





# სლავა

## ის ცხოვრობდა, როგორც ბავშვი

*60-იანი წლების ვარსკვლავ ვლადიმერ „სიომა“ ბარქაიას საცაა, 67 წელი შეუსრულდება. მარცხნივ მესხი, მარჯვნივ მეტრეველი, ცენტრში ბარქაია... ასეთი იყო მაშინ თბილისის „დინამოს“ შემტევი ტრიო. ამ ფეხბურთელების თამაში ახალ თაობას არ უნახავს, მაგრამ არიან ფეხბურთელები, რომელთა თამაში არ უნახავთ და ისინი მაინც უყვართ...*

*ბარქაიას მოსაგონარი ძალიან ბევრი აქვს, მაგრამ დაუწერელი წიგნის ამ ერთ თავში ბატონი „სიომა“ მეტწილად სლავა მეტრეველზე მოგვითხრობთ. ფეხბურთზე კამათი ადრე უფრო მძაფრი და ღრმა იყო, ვარსკვლავური ფეხბურთის ჟამს ერთ-ერთი საკამათო თემა ისიც გახლდთ, მესხი ჯობდა თუ მეტრეველი. ამაზე ახლაც კამათობენ, მაგრამ ის სადავო არ უნდა იყოს, რომ სლავა მეტრეველი ძალიან ამოუწურავი, ძალიან დაუფასებელი ლეგენდა გამოდგა — ვინ იყო სლავა? რატომ წავიდა ის ფეხბურთიდან და ამ ქვეყნიდან ასე ჩუმად?..*

**დავით თავართქილაძე**

19 წლის ვიყავი, თბილისის „დინამოში“ რომ ამიყვანეს — ეს 1957 წელს მოხდა. მაშინ „დინამო“ თავდასხმაში „დუბლვე“ სისტემით თამაშობდა. 1963 წლიდან კი 4-2-4 სისტემაზე გადავედით, „დინამოს“ მიხეილ იაკუშინი წვრთნიდა. სწორედ მაშინ გადმოვიდა მოსკოვის „ტორპედოდან“ „დინამოში“ სლავა მეტრეველი. იმდროინდელი „ტორპედო“ მოსკოვური გუნდებიდან ყველაზე ლამაზად, ტექნიკურად მოთამაშე იყო — ვალენტინ ივანოვი, ვალერი ვორონინი, ედუარდ სტრელცოვი, ვიქტორ შუსტიკოვი, მეტრეველი... აი, ასეთი ფეხბურთელები თამაშობდნენ „ტორპედოში“.

სლავა „დინამოში“ ძმები მიხეილ და ოთარ ლაზიშვილების და ირაკლი ნემსაძის ძალისხმევის შედეგად გადმოვიდა — ისინი შეძლებული ხალხი იყვნენ, ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებულები, სპორტის მეცენატები, რომლებიც სპორტსმენებს დიდად ეხმარებოდნენ. მათი მოლაპარაკება სლავასთან ერთ წელიწადს გრძელდებოდა. სლავას მეუღლეს, ტანიას არ უნდოდა, რომ მისი ქმარი მოსკოვის „ტორპედოდან“ თბილისის „დინამოში“ გადასულიყო, მაგრამ მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა.

თუმც სლავასთვის „დინამოში“ გადმოსვლაში ბევრიც არაფერი მიუციათ. საერთოდ, მაშინ ძალიან ცუდი პირობები იყო, კვებაც კი არ გვქონდა ნორმალური დილმის ბაზაზე — გვაჭმევდნენ ბორშს და სუფს, თუ „სალიანკას“ მოიტანდნენ, მასში მარილიანი კიტრი უფრო მეტი იყო, ვიდრე ხორცი. ჰოდა, ჩვენი მწვრთნელი იაკუშინი ხშირად თვითონ გვიმზადებდა სადილს ან მზარეულებს ადგა თავზე. ბაზაზე მოტანილი ქარხნული წარმოების რძის ნაწარმიც უხარისხო იყო. ვინც თბილისელი გახლდათ, სახლში დადიოდა, რათა ნორმალური საჭმელი ეჭამა. ჩვენ, ჩამოსულებს კი ბაზაზე მეგობრები გვაკითხავდნენ და შეკრებიდან ჩუმად მივდიოდით თეთრ დუქანში, რომელიც დილმის ბაზასთან ახლოს იყო და სადაც გემრიელ კერძებს ამზადებდნენ. ვინც ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად ითვლებოდა, ხელფასი 1600 მანეთი ჰქონდათ, ახალ ფულზე 160 მანეთი.

სლავა რომ მოვიდა „დინამოში“, ბრინჯაოსმედალოსნები გახლდით. თითქოს შეგუებულები ვიყავით, რომ საბჭოთა კავშირის ჩემპიონობას ვერ შევძლებდით, რადგან ამის ნებას არ დაგვრთავდნენ — „დინამოს“ ხომ მანამდე ფაქტობრივად რამდენჯერმე წაართვეს ჩემპიონობა. მაგრამ მოვიდა სლავა „დინამოში“ და ბიჭებს გვითხრა, პირველ ადგილზე გავალთო. სლავა ჩვენგან პირველი იყო, ვინც ეს თქვა და ალბათ იმიტომაც, რომ „ტორპედოში“ ჩემპიონობაც მოესწრო.

სლავას „დინამოში“ მოსვლამდეც ვიცნობდით. სოჭში დაბადებულმა ქართული იცოდა, პასპორტში კი ზაური ეწერა და როცა სტადიონის დიქტორმა ზაურ მეტრეველი გამოაცხადა, ეხამუშა, არ მინდა, ზაური დამიძახონო.

იაკუშინი სლავას ცენტრშიც ათამაშებდა ხოლმე ჩემთან ერთად. კიდევ ერთი ცენტრფორვარდი ზაურ კალოევი მაშინაც იყო „დინამოში“, მაგრამ ის უკვე წამსვლელი იყო გუნდიდან. სლავასთვის პოზიციის შეცვლა არაფერს ნიშნავდა, ის ყველგან ძლიერი იყო, შეიძლება ითქვას, ცენტრში უფრო კარგადაც კი თამაშობდა, ვიდრე მარჯვენა ფლანგზე. სლავას ყველაფერი ჰქონდა — დრიბლინგი, სისწრაფე, სიმსუბუქე, ორივე ფეხით და თავითაც კარგად თამაშობდა, მარჯვენა ფლანგზე კი სლავაზე უკეთესად იმ დროს ვერავინ თამაშობდა. ის უკანაც ჩამოდიოდა და ფლანგიდან გუნდის თამაშის ორგანიზებაც შეეძლო, სლავა ნამდვილი პროფესიონალი იყო.

1963 წლის სეზონში კვლავ მესამე ადგილზე გავედი, მომდევნო წელს კი „დინამოში“ მთავარ მწვრთნელად გავრილ კაჩალინი მოვიდა. ჩემპიონატის დამთავრებამდე ცხრა ტურია დარჩენილი. აქედან ზედიზედ შვიდი თამაში სახლში გვაქვს და ჩვენმა კაპიტანმა შოთა იამანიძემ გვითხრა, ყველანი ფეხბურთით ვცხოვრობთ და იქნებ, ახლა მაინც გავხდეთ ჩემპიონებიო. კაპიტნის ამ სიტყვამ გუნდზე მნიშვნელოვნად იმოქმედა. მოკლედ, თბილისში შვიდივე მატჩი მოვიგეთ, შემდეგ ალმა-ათაში „ქაირათთან“ 1:1 ვითამაშეთ და ბოლო ტური ქუთაისში გვქონდა „ტორპედოსთან“. ქუთაისელებს ჩვენთან რომ წაეგოთ, უმაღლესი ლიგიდან გავარდებოდნენ, ერთ სიტყვით, ქუთაისური მატჩი ორივე გუნდისთვის გადამწყვეტი იყო. შეხვედრა 1:1 დამთავრდა, ქუთაისელი გულშემატკივრები კი მატჩის განმავლობაში გვაგინებდნენ, ქვებს გვესროდნენ. იმავე დღეს მოსკოვის „ტორპედო“ კიევის „დინამოს“ მასპინძლობდა. მოსკოველებს რომ მოეგოთ, ჩემპიონები გახდებოდნენ და ტაშკენტის „ოქროს მატჩიც“, ცხადია, აღარ გაიმართებოდა. მოსკოვში ანგარიში 1:1 იყო, როცა კიეველთა კარში 11-მეტრიანი დაინიშნა, მაგრამ უკრაინელთა მეკარე ვიქტორ ბანიკოვმა ივანოვის დარტყმული მოიგერია. ეს ამბავი ქუთაისიდან წამოსულებმა რიკოთის უღელტეხილზე შევიტყვეთ.

რაც შეეხება ტაშკენტის „ოქროს მატჩს“, სლავამ იმ შეხვედრაში ძალიან დიდი დიაპაზონის სამუშაო შეასრულა. თამაშის შემდეგ კი გვითხრა, ჩემი რომ არ გჯეროდათ, ხომ გავხდით ჩემპიონებიო.

ცხოვრებაში სლავა ძალიან თავმდაბალი კაცი იყო, სასმელს არ ეძალებოდა, შამპანური უყვარდა და იმასაც ორ ჭიქას თუ შესვამდა. სლავა თეატრში ხშირად დადიოდა. ვისაც რამე დასჭირდებოდა, ყველა სლავასთან მიდიოდა და ისიც ყველას ეხმარებოდა. მის ოჯახს კი სოჭში ოროთახიანი ბინა ჰქონდა და თავისიანებს ვერაფრით ეხმარებოდა. სლავა ძალიან მიამიტი კაცი იყო. თამაშს თავი რომ დაანება, მწვრთნელობა განიზრახა — ჯერ „დინამოში“ იყო მწვრთნელად, მერე გორის „დილაში“, მაგრამ ქვედა დინებებს ვერ გაუძლო და მწვრთნელობას შეეშვა.

სლავა თბილისიდან ალარსად წასულა, კამოს ქუჩაზე ცხოვრობდა. სასტუმრო „აფხაზეთის“ დირექტორი იყო, მაგრამ მოხსნეს. ძალიან ხელმომჭირნედ ცხოვრობდა. კახი ასათიანი ეხმარებოდა მატერიალურად, აგრეთვე კოტე სალია, ბენო ლაბარტყავა, ყველაზე მეტად კი ოთარ ცინცაძე. სლავას სახინკლე აუშენეს დილომში, მაგრამ თბილისის ომის დროს ის დაწვეს.

1992 წელს სლავა ავად გახდა, ტვინის დაავადება ჰქონდა, აზროვნება უჭირდა. გაშუქებაზე ტვინში ლაქა გამოჩნდა და ექიმებმა თქვეს, უკვე გვიანია, მას უცხოეთში სამკურნალოდ წასვლაც ვერ უშველისო. სლავა 1998 წელს გარდაიცვალა.

სიცოცხლის ბოლო წლებში სლავა ძალიან გულგატეხილი იყო, საჭმლის ფული უჭირდა. მისმა ვაჟიშვილმა სერგეიმ თბილისში სამსახური ვერ იშოვა და ახლაც სოჭში ცხოვრობს. ყოფილი კოსმონავტი სევასტიანოვი კრასნოდარის მხარეში კომპარტიის გავლენიანი წევრია და სერგეის ის დაეხმარა. სოჭის სტადიონი კი ახლა სლავა მეტრეველის სახელობისაა.

სლავა ბავშვივით იყო, ფეხბურთიდან რომ წავიდა, ცხოვრებაში ადგილი ველარ მონახა. როცა შევიკრიბებოდით, ერთმანეთს ვამხნევებდით და ვეფერებოდით. სლავა ძალიან განიცდიდა მიშა მესხის სიკვდილს, მიშა სლავას როგორც საკუთარ შვილს, ისე უვლიდა ფეხბურთგარე ცხოვრებაში.

...რამდენიმე ხნით გერმანიაში ვცხოვრობდი. 1954 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის გმირ ჰელმუტ რანს და სხვა ვეტერან ფეხბურთელებს ხშირად იწვევდნენ იქაურ ტელევიზიაში ინტერვიუსთვის თუ სხვადასხვა ტელეშოუსთვის და ამაში ჰონორარებს უხდიდნენ. მთელ ქვეყანას და განსაკუთრებით გერმანელ ახალგაზრდობას კი ახსენებდნენ, რომ ასეთი ხალხი ოდესღაც დიდ საქმეებს სჩადიოდა და ისინი დღესაც ცოცხლები არიან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როზერტო მანჩინიმ ინტერი გაიფორმა




რობერტო მანჩინი ბოლოს და ბოლოს, „ინტერის“ ოფიციალური მწვრთნელია — რამდენიმე კვირიანი ნერვიულობა და მოლაპარაკებები მილანელებისა და თავად მანჩინისთვის ხელსაყრელად დასრულდა. ცნობა ამ გადაწყვეტილების შესახებ „შავ-ლურჯების“ ოფისიდან ოთხშაბათს, თბილისის დროით საღამოს 11 საათზე გავრცელდა. ცნობაში წერია, რომ ხელშეკრულება მანჩინისა და კლუბს შორის ძალაშია 2007 წლის 30 ივნისამდე.

შეგახსენებთ კონფლიქტის არსს: მას მერე, რაც 15 ივნისს „ინტერის“ მწვრთნელის თანამდებობიდან ალბერტო ძაკერონი გადადგა, საყოველთაოდ იყო ცნობილი, რომ ვაკანსიას „ლაციოს“ 40 წლის ყოფილი თავკაცი დაიჭერდა, მაგრამ წინააღმდეგობა, რომაულმა კლუბმა გასწია — მათ განაცხადეს და დაიჟინეს, რომ „ინტერს“ მწვრთნელის ტრანსფერში მათთვის ფული უნდა გადაეხადა. საბოლოოდ დაძაბულობა ჩაცხრა და რალაც მანქანებით „ლაციომ“ მანჩინის განთავისუფლების ბარათს ხელი მოაწერა.

ამის შემდეგ, ტაქტიკოსი დაუყოვნებლივ გაფრინდა მილანში, სადაც მოლაპარაკებები დაასრულა, ყველაფერი გაარკვია და საბოლოო საუბრისთვის ერთმანეთს შეახვედრა, „ინტერის“ მხრიდან ჯაჩინტო ფაკეტი, რინალდო გელფი, გაბრიელე ორეალი და მარკო ბრანკა, „ლაციოს“ მხრიდან კლუბის გენერალური დირექტორი ჯუზეპე დე მიტა და თავის მხრივ, აგენტი გრიგორიო დე გიორჯისი.

„ამას კარგა ხანს ველოდით — თქვა შემდეგ „ინტერის“ პრეზიდენტმა ფაკეტიმ — ბოლოს და ბოლოს, ორივე მხარეს ყველაფრის ერთხელ და საბოლოოდ გარკვევა სჭირდებოდა“.

ასე და ამგვარად, ამიერიდან „ინტერს“ მანჩინის ტაქტიკაზე მოუწევს გადართვა. მოგეხსენებათ, გუნდში ახალი ფეხბურთელები არიან: ხუან სებასტიან ვერონი, ედგარ დავიდსი, ლაციოელი სესარი და მათ ალბათ „პერუჯადან“ ზე მარიაც შეუერთდებათ.

ბოლო კითხვაზე, ვინ შეცვლის მანჩინის „ლაციოში“, პასუხი ასეთია: დინო ძოფი ან ანჯელო გრეგუჩი.

ძოფი, მოგეხსენებათ, ადრე „ლაციოს“ პრეზიდენტი გახლდათ, მერე კი წვრთნიდა კიდეც ამ გუნდს. შეგახსენებთ აგრეთვე, რომ იგი ევრო 2000-ის შემდეგ (მაშინ იტალიის ნაკრები მეორე ადგილზე გაიყვანა) ამ საქმეს აღარ შესჭიდებია.

რაც შეეხება „ვენეციის“ მწვრთნელს, გრეგუჩის, იგი უფრო საჭიროებს წარდგენას: გრეგუჩი „ლაციოს“ მცველი იყო და ერთიხანობა ძოფის ხელქვეითაც უთამაშია. ბუნებრივია, იგი რომაელთათვის უფრო იაფი ვარიანტია.

**ბაბუნა ძედია**



# თავზეც ნუ წამოიცვამთ

სერია A-ს ახალ სეზონში რამდენიმე მატჩს გერმანელი მსაჯები გაუძღვებიან. ეს მსაჯთა ევრო გაცვლა-გამოცვლის გეგმის ნაწილია. პირველები ამ მიმართულებით ნაბიჯს იტალიელები და გერმანელები დგამენ.

„გერმანიიდან მსაჯების მოწვევა ახლა უკვე შესაძლებელი ხდება — განაცხადა იტალიელ მსაჯთა გამანაწილებელმა პიერლუიჯი პიარეტომ — ეს ხშირად არ მოხდება, მაგრამ წელიწადში ოთხი ან ექვსი თამაშის უცხოელთათვის მიბარება, ვფიქრობ, სრულიად ნორმალური იქნება. გერმანელებთან თანამშრომლობა კი იმიტომ გადავწვიტეთ, რომ საფეხბურთო თვალსაზრისით ჩვენთან ყველაზე ახლოს სწორედ გერმანული ლიგაა“.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე სეზონში მსაჯებთან დაკავშირებით ეს სულაც არ იქნება ერთადერთი სიახლე. იტალიელ მსაჯებს სპონსორიც გამოუძებნეს.

„სავარაუდოდ, კომერციული სპონსორი გვეყოლება — განაცხადა მსაჯთა ასოციაციის ხელმძღვანელმა ტულიო ლანეზემ — ერთ-ერთ კომპანიასთან უკვე გარიგებულები ვართ. ჩვენ მხარდაჭერა გვჭირდება, რათა შემოვიდეს ასოციაციის განვითარებისთვის საჭირო სახსრები“.

საინტერესოა, რომ ლანეზეს თქმით, 45 წლის მსაჯთა „პენსიაზე“ გაშვების წესი — რომლის გამოც პიერლუიჯი კოლინა 2005 წელს სარბიელს უნდა ჩამოშორდეს — შეიცვლება და „საპენსიო“ ასაკი ზევით აიწევს, თუმცა რამდენით, ჯერ არ იციან.

და ბოლოს:

„ის ფეხბურთელები, ვინც ფაბრიციო რავანელის სტილით მაისურებს თავზე წამოიცვამენ, ყვითელი ბარათით დაისჯებიან“.

ასე და ამგვარად, გაყვითლდება არა მხოლოდ მაისურის გამხდელი ფეხბურთელი, არამედ თავზე წამომცმელიც.

**ბაბუნა ძედია**

# მა, მატერაცი?
## ლეგროტალიე ადგილს ითხოვს

ნიკოლა ლეგროტალიე იმედოვნებს, რომ ბოლოს და ბოლოს, თავის ნამდვილ ძალას აჩვენებს. მოგეხსენებათ, „იუვენტუსის“ ამ მცველს გასული სეზონი რთული და უიღბლო ჰქონდა, რის გამოც უამრავი კრიტიკოსი გამოუჩნდა.

„იმედი მაქვს, ეს სეზონი წინაზე წარმატებული გამოდგება — თქვა ლეგროტალიე, — ამას იმიტომ ვამბობ, რომ ამ ზაფხულს, სეზონისწინა შეკრებაზე თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. უპირველეს ყოვლისა, ფიზიკურად ვარ უწინდელზე გაცილებით უკეთესად და ტრავმაც აღარ მაწუხებს. არადა, გასული სეზონის მეტი პერიოდი სწორედ ამ ტრავმამ გამიფუჭა“.

შეგახსენებთ, რომ ლეგროტალიე „იუვენტუსმა“ ერთი წლის წინ „კიევოსგან“ იყიდა და მასში 10 მილიონ დოლარზე მეტი გადაიხადა.

„გასულ სეზონშიც მინდოდა კარგად მეთამაშა, მაგრამ იღბალმა ზურგი შემაქცია. ახლა მსურს ქომაგებს ჩემი ნამდვილი ძალა ვაჩვენო. დიახ, გასულ სეზონში ვცდებოდი და „იუვეს“ წარუმატებლობებზე პირადად ვარ პასუხისმგებელი, მაგრამ ახლა მინდა ეს ყველაფერი გამოვასწორო“.

უიღბლო სეზონმა და ტრავმამ ლეგროტალიეს, ბუნებრივია, არც ევრო 2004-ზე თამაშის საშუალება მისცა.

„გული დამწყდა. მარკო მატერაცი რა, იმსახურებდა ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრებას? მე თუ მკითხავთ, იქ მატერაციც არ უნდა ყოფილიყო. ტრაპატონის მე და ის ერთნაირად უნდა დავეტოვებინეთ და პარმელი მარჩელო კასტელინი ან პერუჯელი მარკო დი ლორეტო უნდა წაეყვანა. აი, ეს სამართლიანი იქნებოდა“. — დასძინა ლეგროტალიემ.

**ბაბუნა ძედია**




# მარსელ დესაიმ სელტიკი ისურვა



მარსელ დესაის „ჩელსისთან“ კონტრაქტის ვადა რომ გაუვიდა და მხარეებმა მისი გაგრძელება აღარ ისურვეს, ამაზე ადრეც ვწერდით. ისიც აღვნიშნეთ, დესაის მომდევნო სამუშაო ადგილი ჯერ უცნობიაო. ახლა კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ საფრანგეთის ნაკრების ყოფილი კაპიტანი კარიერის დარჩენილ წლებს გლაზგოს „სელტიკში“ გაატარებს.

35 წლის დესაიმ, ვისაც საფრანგეთის ნაკრების მაისურით სარეკორდო, 116 მატჩი აქვს ჩატარებული, სხვა პრემიერლიგურ კლუბში გადასვლაზე უარი თქვა, არ მსურს ჩემპიონატში „ჩელსის“ წინააღმდეგ თამაშიო.

„სელტიკზე“ კი დესაიმ თქვა: „თუ გლაზგოელებს ვჭირდები, იქ სიამოვნებით გადავალ, რაკი „სელტიკის“ თამაშს ბოლო ორ სეზონში მუდმივად ვადევნებდი თვალს და მისი სტილი ძალიან მომწონს, ამასთანავე კლუბი ამბიციურია, მე კი კარიერის დასრულებამდე დიდი დრო აღარ დამრჩენია და მსურს, კარიერის ბოლო წლები ასეთ გუნდში გავატარო“.

ახლა კლუბსა და ფეხბურთელს შორის კონტრაქტის პირობებზე მოლაპარაკება მიმდინარეობს, „სელტიკის“ პრეს-მდივანმა კი განაცხადა, უახლოეს ორ დღეში დესაის გადმოსვლასთან დაკავშირებით რაიმე სიახლე არ იქნებაო.

ამასობაში „სელტიკის“ მენეჯერმა მარტინ ონილმა თქვა, ახალი ტალანტების აღმოჩენა მსურს და თუ ვინმე პერსპექტიული ფეხბურთელი გამოჩნდა, გადაბირებას ვეცდებიო.

სატრანსფერო სეზონის დახურვამდე ერთი თვეა დარჩენილი.

**ირაკლი ნინიძე**

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# სამყურა ბაჭია არგენტინიდან



## კოპა ამერიკა 2004
### პერუ (6-25 ივლისი)

**B ჯგუფი. I ტური**

**ურუგვაი 2:2 მექსიკა**

1:0 კარლოს ბუენოსი (43), 1:1 რიკარდო ოსორიო (45), 1:2 პაველ პარდო (69), 2:2 პაოლო მონტერო (88)

**ურუგვაი:** ლუის ბარბატი, გუსტავო ვარელა, ჟოე ბიზერა, პაოლო მონტერო, დარიო როდრიგესი, ომარ პოუსო, მარსელო სოსა, კრისტიან როდრიგესი, დიეგო ფორლანი (ხუან პაროდი 74), კარლოს ბუენოსი, დარიო სილვა (რიჩარდ მორალესი 78)

**მექსიკა:** ოსვალდო სანჩესი, რიკარდო ოსორიო, პაველ პარადო, დუილიო დავინო, დავიო ოტეო, რაფაელ მარკესი, სალვადორ კარმონა (ჰექტორ ალტამირანო 84), ოქტავიო ვალდესი, ხაიმე ლოზანო, ჟარედ ბორგეტი (ადოლფო ბაუტისტა 67), ფრანსისკო პალენსია (ხესუს არელანო 67)

გაძევება: რიჩარდ მორალესი (80)

მსაჯი: ჟილბერტო იდალგო (პერუ)

25 000 მაყურებელი

**არგენტინა 6:1 ეკვადორი**

1:0 კილი გონსალესი (53), 1:1 აუგუსტინ დელგადო (62), 2:1, 3:1, 4:1 ხავიერ სავიოლა (64, 75, 79), 5:1 ანდრეს დალესანდრო (84), 6:1 ლუის გონსალესი (90)

**არგენტინა:** რობერტო აბონდანსიერი, ხავიერ ძანეტი, რობერტო აიალა, გაბრიელ შეინცე, ხუან პაბლო სორინი, ლუის გონსალესი, ხავიერ მასკერანო, კილი გონსალესი (კლემენტე როდრიგესი 87), ანდრეს დალესანდრო, სეზარ დელგადო (მაურო როსალესი 74), ხავიერ სავიოლა (კარლოს ტევესი 83)

**ეკვადორი:** ჯოვანი იბარა, ულისეს დელა კრუზი (ედისონ მენდესი 54), ივან ურტადო, ჯოვანი ესპინოზა, ნეისერ რეასკო, ალფონსო ობრეგონი, პოლ ამბროზი, ედვინ ტენორიო (ფრანკლინ სალასი 28), მარლონ აიოვი, ებელიო ორდონესი (აუგუსტინ დელგადო 46), კლებერ ჩალა

მსაჯი: კარლოს ამარილია

25 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 1 | 1 | 0 | 0 | 6:1 | 3 |
| მექსიკა | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ურუგვაი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ეკვადორი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:6 | 0 |

**II ტური 10 ივლისი**

**ურუგვაი – ეკვადორი** | **არგენტინა – მექსიკა**



ხავიერ სავიოლამ ჰეთ თრიქი მიითვალა

სანამ მეორე დღის მატჩების მიმოხილვაზე გადავალთ, ვენესუელას მწვრთნელ რიჩარდ პაესის გულისწყრომაზე ორიოდ წინადადება ვთქვათ.

ვენესუელამ ჩემპიონატის გახსნის დღეს კოლუმბიასთან 0:1 წააგო. ამ მატჩში პაესის გუნდის კარში ბრაზილიელმა მსაჯმა საეჭვო პენალტი დანიშნა, შემდეგ კი ვენესუელას გოლი არ ჩაუთვალა. სამხრეთ ამერიკაში თამაში ისე როგორ ჩაივლის, მსაჯს რამე არ დაბრალდეს. ამჯერადაც იგივე მოხდა.

„არბიტრმა გამოგონილი პენალტით მოგვიგო, რამაც ჩემს ნაკრებზე ძალიან ცუდად იმოქმედა, შემდეგ კი ნალდი გოლი საეჭვო თამაშგარე მდგომარეობის გამო გაგვიუქმა" — დაიჩივლა რიჩარდ პაესმა.

მსგავსი ამბავი მოხდა არგენტინა-ეკვადორის შეხვედრაში. მეხუთე წუთზე კარლოს ამარილიამ კილი გონსალესის წაქცევისთვის თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დანიშნა, მაგრამ, ეკვადორელთა აზრით, ამ შემთხვევაში წესი არ დარღვეულა — „ინტერის" ლეგიონერმა წაიმსახიობა.

მოკლედ, არგენტინელები მატჩის დასაწყისშივე დაწინაურდნენ და მათი ქომაგებიც მეტოქის განადგურებას ელოდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა.

ეკვადორმა პირველი ტაიმში საკმაოდ გამართულად ითამაშა და მოწინააღმდეგეს განავარდების საშუალება არ მისცა. ბიელსას შეგირდებს მხოლოდ ორი ნახევარმომენტი ჰქონდათ. ჯოვანი იბარამ ანდრეს დალესანდროსა და ხავიერ სავიოლას თითო დარტყმული მოიგერია.

შესვენების შემდეგ ეკვადორმა აუგუსტინ დელგადოს წყალობით გაათანაბრა. დელგადომ არგენტინელებს ბურთი მოედნის ცენტრშიააფცქვნა, საჯარიმოს წინა ხაზამდე იარა და აბონდანსიერის ძლიერი დარტყმით გაუტანა. ამ ეპიზოდის მერე ეკვადორელების რბევა დაიწყო, არადა, გამქვითველებს თითქოს მსგავსი არაფერი ელოდათ.

ხავიერ სავიოლამ, რომლის უთამაშებლობის გამოც მარსელო ბიელსა სამშობლოში არაერთხელ გაულანძღავთ, ბრწყინვალე თხუთმეტწუთიანი მონაკვეთი „მოჭრა".

ბარსელონელმა „ბაჭიამ" ჯოვანი იბარას მიჯრით სამი გოლი გაუტანა და მოწინააღმდეგე დააშამათა. მატჩის მიწურულს ანდრეს დალესანდრომ მეხუთე შეაგდო, ხოლო ლუის გონსალესმა ბოლო წუთზე მეექვსე მიაყოლა.



პაოლო მონტერომ ნაკრებში დაბრუნება გოლით აღნიშნა

პრესკონფერენციაზე მარსელო ბიელსამ თქვა: „დიდი სხვაობით მოგებას არ ვვარაუდობდი, ყოველმხრივ კმაყოფილი ვარ თამაშის ხარისხით, მაგრამ ჯერ მხოლოდ პირველი მატჩია და დიდი ანგარიშით გამარჯვება მეოთხედფინალში გასვლას არ ნიშნავს. წინ ხომ კიდევ ორი შეხვედრა გველის.

„ლია კარის დღე გვქონდა და ასე თუ გავაგრძელეთ, ჩემი გადადგომის საკითხს აუცილებლად დააყენებენ. ასეთი შედეგი, როგორც წესი, მწვრთნელს იწირავს. ჩემპიონატის დასრულებისთანავე ნაკრებიდან წასვლაზე თავად დავფიქრდები" — განაცხადა ეკვადორელთა თავკაცმა ერნან დარიო გომესმა.

ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლუის ჩირიბოგამ მწვრთნელს სიტყვა შეაშველა: „არა მგონია, ერთი, თუნდაც ასეთი მარცხის გამო ნაკრების თავკაცის განთავისუფლება გამართლებული იყოს. მე მხარში ვუდგევარ გომესსა და ფეხბურთელებს როგორც მარცხის ისევე მოგების დროს. ახლა ცვლილებებისთვის შესაფერისი მომენტი ნამდვილად არაა. ვერავინ იფიქრებდა, რომ ეკვადორის ნაკრები, რომელმაც მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე ღირსეულად ითამაშა, გამანადგურებელი ანგარიშით წააგებდა. ეს მალე უნდა დავივიწყოთ".

კაცნაკლულმა ურუგვაიმ პაოლო მონტეროს გვიანი გოლით კოპა ამერიკის სტუმარ მექსიკას ქულა წაგლიჯა.

თითქმის მთელი პირველი ტაიმის მანძილზე გუნდები ბურთს უხეიროდ აგორებდნენ და უფრო დაცვაზე ფიქრობდნენ, ვიდრე შეტევაზე. მეტოქეებმა მხოლოდ თითოჯერ თუ დაარტყეს სახიფათოდ ერთმანეთის კარისკენ, მაგრამ სამაგიეროდ, ტაიმის მიწურულს ორი გოლი გავიდა.

ურუგვაელმა კარლოს ბუენოსმა დიეგო ფორლანისგან ბურთი მიიღო, მცველთა წათვლემით ისარგებლა და ანგარიში გახსნა.

ძალიან კარგი დრო იყო დაწინაურებულებისთვის, რომლებიც შესვენებაზე უპირატესობით წასვლას აპირებდნენ, მაგრამ ყველაფერი უცბად შეიცვალა. მექსიკელმა რიკარდო ოსორიომ ორიოდ წუთში გაათანაბრა და მსაჯმაც გუნდები გასახდელისკენ გაისტუმრა.

მეტოქეებმა მეორე ტაიმშიც იგივე ფეხბურთი გააჩაღეს. მოედნის ცენტრში ერთიმეორეს ვერ სჯობნიდნენ, რაკი ორივე გუნდს შუაგულ საიმედოდ ჰქონდა ჩაკეტილი, გრძელ პასებზე გადავიდნენ და შორიდან დარტყმებს მიეძალნენ.

ამით მექსიკელებმა იხეირეს, როცა პაველ პარდომ ლუის ბარბატს დაახლოებით 30 მეტრიდან ძლიერად გასროლილი ბურთი გაუტანა.

ურუგვაელთა მწვრთნელმა უშნოდ მოხეტიალე დარიო სილვას ნაცვლად რიჩარდ მორალესი შეუშვა და შეტევის გაძლიერება სცადა. მორალესმა ორ წუთში სასწაული ჩაიდინა. ერთხელ კარში დაარტყა და... გააძევეს.

პერუელმა მსაჯმა ჟილბერტო იდალგომ შეცვლაზე შესულ, გაცეცხლებულ ვაჟკაცს პაველ პარდოსთან უხეშობა არ აპატია და უმალვე წითელი ბარათი დაუძრო.

ურუგვაის აქამდე მიჯრით ხუთი მატჩი წაეგო და მეექვსესაც მიითვლიდა, პაოლო მონტეროს რომ არ ეყოჩალა.

„იუვენტუსის" მცველმა სანაკრებო კარიერას 2 წლის წინათ დაანება თავი, მაგრამ გადაწყვეტილება შეცვალა და კვლავ დაბრუნდა. მისი დაბრუნება ძალიან იღბლიანი გამოდგა, რადგან 88-ე წუთზე სწორედ მან შეძლო გათანაბრება და ნაკრები ზედიზედ მეექვსე მარცხს, ანუ სირცხვილს გადაარჩინა.

მონტერომ კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს თავი საგოლედ შეაგება და კაცნაკლულ ურუგვაელებს ქულა გაუცოცხლა.

**მაჟა ხუციშვილი**

# ფრანგთა არჩევანი

## ტიგანა ან ბლანი

**საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული ნაკრების მწვრთნელობაზე 38 განცხადება მიიღო, მაგრამ როგორც ამბობენ, შეიქმნება ნუსხა, რომელშიც სულ ოთხი ან ხუთი გვარი დარჩება. ამბობენ იმასაც, რომ ფედერაციის პრეზიდენტმა კლოდ სიმონემ ჟაკ სანტინის შემცვლელის არჩევა და დასახელება პარასკევიდან ორშაბათისთვის გადადო.**



„პრეზიდენტს ფიქრისთვის მეტი დრო სჭირდება. გარდა ამისა, მას სურს, ფრანგული ფეხბურთის ყველა შტოს წარმომადგენელს ჰკითხოს რჩევა" — განმარტა ფედერაციის პრესატაშემ.

ახალ მწვრთნელს ფედერაციის საბჭოს საგანგებო თათბირზე დაასახელებენ. თათბირი ქვეყნის შუაგულში მდებარე კლერმონ-ფერანში გაიმართება, თუმცა ხვალ, შაბათს, ფედერაციის ცენტრალური ასამბლეის სხდომაა და ბევრი რამ, ალბათ, იქ გადაწყდება.

ახლა, რაც შეეხება იმ ოთხ-ხუთ გვარს, რომლებიც სიმონეს ნუსხაში დარჩება: ესენი უპირველეს ყოვლისა, გახლავან საფრანგეთის ნაკრების ყოფილი ვარსკვლავები, დიდი თაობის ორი წარმომადგენელი ჟან ტიგანა და ლორან ბლანი. ამ ორ ადამიანს სიმონე ევრო 2004-ის დღეებში ესაუბრა. მათ გარდა, პრეზიდენტი ინგლისის ნაკრების ყოფილ თავკაც გლენ ჰოდლს (ფეხბურთელობისას „მონაკოში" თამაშობდა არსენ ვენგერის ხელმძღვანელობით), 21-წლამდელთა ნაკრების ახლანდელ თავკაც რაიმონ დომენეკს და სენეგალის ნაკრების ყოფილ მწვრთნელ, ბრუნო მეტიუს ესაუბრა.





ბლანი 38 წლისაა. იგი გახლდათ 1998 წლის მსოფლიოსა და 2000 წლის ევროპის ჩემპიონი გუნდების კაპიტანი, რომელიც ზინედინ ზიდანის და ახლანდელ ცნობილ ფრანგ ვარსკვლავთა გარემოცვაში თავს იგრძნობს, როგორც თევზი წყალში. მინუსი ის აქვს, რომ არასდროს არავინ გაუწვრთნია.

ტიგანა 1984 წლის ევროპის ჩემპიონია. ასაკით ბლანზე ათი წლით უფროსია, მწვრთნელად უმუშავია „მონაკოში", რომელიც 1997 წელს საფრანგეთის ჩემპიონი გახადა და ინგლისურ „ფულემში", რომელიც 2001 წელს პირველი დივიზიონიდან პრემიერლიგაში ალაზევა.

დომენიკი ახალგაზრდობაში მცველი იყო და სხვათა შორის, ორი წლის წინ მას როჟე ლემერის შემცვლელადაც კი მოიხსენიებდნენ. მან ფედერაციის ავან-ჩავანი შიგნიდან იცის და მხარს ეროვნულ ნაკრებთა ტექნიკური დირექტორი ემე ჟაკე უჭერს: მისი საწინააღმდეგო არგუმენტი ის არის, რომ 1993 წლიდან მოყოლებული 21-წლამდელ ფრანგებს ერთი ჯილდოც ვერ მოაგებინა.

ჰოდლის საქმე ასეა: მასზე სიმონემ თქვა, დიდი პატივია, ჩვენთან თანამშრომლობა რომ სურსო.

მეტიუმ კი განაცხადა: „ბატონ სიმონეს მეტად მეგობრულად ვესაუბრე. მან მითხრა, კარი დაკეტილი არ არისო, მაგრამ ამ საუბრიდან დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ყველაფერი ბლანის ან ტიგანას სასარგებლოდ გადაწყდება".

**პაპუნა ძიძია**

# კლაუდიოს თერთმეტი[illegible]

ანდრეა პირლო, [illegible] პელიცოლი და მატეო ფერარი იტალიის ოლიმპიურ ნაკრებში გამოიძახეს. შეგახსენებთ, რომ „აძურინიმ" ათენში გამგზავრების უფლება ერთი თვის წინ, 21-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონობით მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელს, კლაუდიო ჯენტილეს უფლება აქვს, გუნდში 21 წელიწადს აცილებული სამი ფეხბურთელი მიიწვიოს. თავიდან ამბობდნენ, რომ ესენი იქნებოდნენ მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი, რომაელი თავდამსხმელები, ფრანჩესკო ტოტი და ანტონიო კასანო, მაგრამ, როგორც ჩანს, ყოველგვარი „აძურას" მთავარგამგებელთან, მარჩელო ლიპისთან საუბრის შემდეგ აზრი შეიცვალა.

პელიცოლი, სავარაუდოდ, გუნდის მთავარი მეკარე გახდება, რადგან აქამდე ძელებს შორის მარკო ამელია იდგა და საკმაოდ არასტაბილურად — ხან კარგად თამაშობდა, ხან ცუდად.

პარმელი მატეო ფერარი დაცვის ცენტრში ითამაშებს, ხოლო ანდრეა პირლო ნახევარდაცვის შუაში. ცნობილია, რომ კლაუდიო ჯენტილეს 4-5-1 განლაგება აქვს შერჩეული.

„აძურინი" ვარჯიშს 2 აგვისტოს დაიწყებს, 9-ში საბერძნეთს გაფრინდება, ხოლო 12-ში განას ეთამაშება. კიდევ ჯგუფში არიან იაპონია და პარაგვაი.

ჯენტილე ასეთი შემადგენლობით აპირებს თამაშს: პელიცოლი, ბონერა, ბარძალი, ფერარი, მორეტი, მესტო, პინცი, პირლო, დელ როსი, გასბარონი და ჯილარდინო.

**პაპუნა ძიძია**

# გულო, შავგულო

## ნუ ანერვიულებთ ასაკოვან ბრძენკაცებს

როცა გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტის, გერჰარდ მაიერ-ფორფელდერის შემოთავაზება უარყო და გერმანიის ნაკრების მნეობაზე უარი განაცხადა, ოტმარ ჰიცფელდმა თავისი მოულოდნელი გადაწყვეტილება ასე დაასაბუთა — დაძაბული 12-წლიანი მუშაობის შედეგად გადამწვარი ვარ და ოჯახთან ერთად განმარტოვებას ახლა არაფერი მირჩევნიაო.

55 წლის უგამოცდილესი და უბრძენესი თავკაცის ამ უარს გერმანიაშიც და მის გარეც არაერთგვაროვანი ინტერპრეტაცია მიეცა. თუმცა უმთავრესად მაინც იმ აზრმა იმარჯვა, რომლის თანახმადაც დორტმუნდის „ბორუსიისა" და მიუნხენის „ბაიერნის" ტიტულოვანმა მწრვთნელმა სარფიანსა და იმავდროულად დიდი ეროვნული მნიშვნელობის წინადადებაზე დათანხმება ნიჭიერ გერმანელ მოთამაშეთა უკიდურესი სიმცირის გამო ვერ გარისკა.

თუმცა — როგორც გერმანიიდან მოსული უკანასკნელი ინფორმაცია ცხადყოფს — საქმე არც ეგრე მარტივად უნდა ყოფილიყო.

გერმანული „შპორტ ბილდის" ცნობით, ნაკრების მწვრთნელობაზე უარის თქმა ჰიცფელდს მეუღლე ბეატრისმა ურჩია. ფრაუ ჰიცფელდს თურმე შეშინებია, მისი ქმარი ამ ახალ, უაღრესად საპასუხისმგებლო საქმეზე ნერვიულობას არ გადაჰყოლოდა.

მას საამისოდ სერიოზული საბაბიც ჰქონია.

იქამდე ორი თვით ადრე, ვიდრე ჰიცფელდი მაიერ-ფორფელდერისგან წინადადებას მიიღებდა, მის ოჯახს საშინელი ტრაგედია დაატყდა. მისი მეუღლის 42 წლის ძმას ზედ „ოლიმპიაშტადიონის" წინ გაუსკდა გული. იგი „ბაიერნისა" და „1860-ის" დერბიზე მიიჩქაროდა.

ჰიცფელდი: „ის პროფესორი იყო და ჩემსავით მუდმივ სტრესს განიცდიდა."

ცოლისძმის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ ჰერ ოტმარმა თურმე კარდიოლოგებთან სიარულს უხშირა. თუმცა უნებლიედ შეპარული შიში მას ვერც ექიმთა დაფებითმა დასკვნებმა გაუქრო: „ყოველი მწვრთნელი მუდამ იმის შიშშია, ნერვული სტრესის ან ინფარქტის მსხვერპლი არ გახდეს."

ფორფელდერთან პირველი საუბრის შემდეგ ჰიცფელდი საწერ მაგიდას მიჯდომია და სუფთა ფურცელზე ნაკრებში გამოსაძახებელ მოთამაშეთა სია ჩამოუწერია. „ჩემი ნაკრები უკვე თვალწინ მყავდა" — იგონებს იგი.

მაგრამ შემდეგ უფრო კაეშნიანი ფიქრები წამოსულა...

როცა ბეატრისმა შეატყო, რომ მეუღლე ჩვეულებრივზე მეტად ნერვიულობდა, წინადადებაზე უარის თქმა ურჩია.

სწორედ ასეთივე სიტუაცია ყოფილა ჰიცფელდთა ოჯახში 1997 წლის სეზონის დამლევსაც, როცა „ბორუსიაში" გატარებული ექვსი წარმატებული, მაგრამ იმავდროულად ძალზედ დაძაბული წლის შემდეგ ფრაუ ბეატრისის ქმარმა მადრიდის „რეალის" შემოთავაზება იუარა.

ალბათ ეგრეც სჯობდა.

**ლევან ძელაურაძე**



# ლიდსიდან გარბიან



„ლიდს იუნაიტედი“ ფსკერისკენ წასული გემივითაა, ვისაც თავის შველა შეუძლია, ყველა გარბის. ალან სმიტმა „მანჩესტერ იუნაიტედს“ შეაფარა თავი, მეკარე პოლ რობინსონი „ტოტენჰემში“ წავიდა, ყმაწვილი ნახევარმცველი ჯეიმს მილნერი „ნიუკასლს“ შეეკედლა. „ლიდსიდან“ უფრო ადრე გაქცეულებზე კი ნულარ შევჩერდებით.

ახლა „ლიდსი“ კიდევ ორმა ვარსკვლავმა დატოვა, ავსტრალიელი მარკ ვიდუკა „მიდლსბროში“ გადავიდა, იან ჰარტი კი „ლევანტეში“ წავიდა.

28 წლის ვიდუკა, ვინაც „ლიდსში“ თავის დროზე გლაზგოს „სელტიკიდან“ გადავიდა ექვს მილიონ გირვანქად და 126 პრემიერლიგურ მატჩში 59 გოლიც გაიტანა, „მიდლსბროს“ სამი წლით შეეკრა, ტრანსფერი კი 4,5 მილიონი გირვანქა დაჯდა.

მომდევნო სეზონში „ბორო“ უეფას თასზე ითამაშებს და ვიდუკას დიდი იმედიც აქვს, ისევე, როგორც ჰოლანდიელ მიხაელ რაიციგერს, რომელიც „ბარსელონადან“ წაიყვანა.

იან ჰარტის ესპანურ პრიმერადივიზიონის ახალწვეულ „ლევანტეში“ გადასვლა ჯერ არ გაფორმებულა, თუმცა ბევრიც არაფერი უკლია. „ლიდსმა“ ირლანდიელს მოლაპარაკების დამოუკიდებლად წართვის ნება მისცა და ისიც გუშინ სამედიცინო შემოწმებისთვის ესპანეთში ჩავიდა.

„ლიდსი“ დატოვა დომინიკ მატეომ, რომელმაც „ბლექბერნ როვერსთან“ ოთხშაბათს სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**ირაკლი ნინიძე**

# მსოფლიომდე მშვიდად დავისვენოთ

## ნევილმა ერიკსონს ნამუსი მოწმინდა





დავუბრუნდეთ ევრო 2004-ს, რომლის დამთავრებიდან ჯერ კიდევ არ არის დიდი დრო გასული და შთაბეჭდილებებიც, შესაბამისად, არ გაგვნელებია. ერთი სიტყვით, ყველას გვახსოვს, სოლ კემპბელის გოლი პორტუგალიის კარში, რომელიც შვეიცარიელმა მსაჯმა ურს მაიერმა არ ჩათვალა და რომლის გამოც ერთი ამბავი ატყდა ინგლისურ პრესაში. ამჯერად მაიერის ამ გადაწყვეტილების შესახებ ინგლისის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ მცველის, გარი ნევილის მოსაზრებას გთავაზობთ.

„ეს ის ეპიზოდი იყო, როდესაც გადაწყვეტილების მიღება ძნელია — თქვა ნევილმა — ძალიან რთულია ამის გახსენება, რადგან კემპბელის გოლის არჩათვლამ ჩვენ შეჯიბრება დაგვატოვებინა, მაგრამ ფეხბურთში ასეთი რამ ხდება ხოლმე.

ჩვენ არასდროს გვიხსენებია სიტყვა მიკერძოება. ერთი წუთით არ გამივლია გუნებაში, რომ მსაჯმა იეშმაკა. ვიცი, ხალხმა თქვა, თითქოს მაიერმა სინამდვილეზე თვალი დახუჭა, მაგრამ ეს გადაჭარბებულია. ის ადამიანია და როგორც აღიქვა ის ეპიზოდი, ისე გადაწყვიტა.“

მაგრამ, როგორ გამოჩნდა, ნევილს სწამს, რომ იმ გოლის არჩათვლამ ინგლისს, არც მეტი, არც ნაკლები, ევროპის ჩემპიონის ტიტული დააკარგვინა.

„ჩვენ შეგვეძლო ჩემპიონობა, მაგრამ გუნდს ცოტა იღბალიც სჭირდებოდა. იმ დღეს მწვრთნელმა გვითხრა, რომ ჩვენ ფინიშის სწორზე ვიყავით და მართალიც იყო, იმ ადგილიდან ფინალი ჩანდა.

რა გაეწყობა, შეჯიბრებას ყოველთვის საუკეთესო გუნდი არ იგებს. სხვა საქმეა, რომ წუწუნი საჭირო არ არის — ვერ გავაკეთეთ ის, რის გაკეთებაც გვინდოდა და მორჩა, დანარჩენი მომავლის საქმეა. ახლა მსოფლიოს ჩემპიონობაზე უნდა ვიფიქროთ“.

ხოლო მსოფლიოს ჩემპიონატის მოლოდინში გარი ნევილი ამბობს, რომ მწვრთნელს, სვენ გორან ერიკსონს მთელი ინგლისი უდგას მხარში. ფეხბურთელებს და გულშემატკივრებს ერთი აზრი აქვთ.

„დიახ, მას მაქსიმალური მხარდაჭერა აქვს. ვფიქრობ, სანერვიულო არაფერი მიგვიცია, ევროპის ჩემპიონატიდან გავარდნამაც კი ვერ გამოიწვია ვერანაირი მითქმა-მოთქმა და აჟიოტაჟი ჩვენი ნაკრების გარშემო.

როდესაც მარცხდება, ერიკსონი მშვიდია, მშვიდია, როდესაც იმარჯვებს და ვერ წარმომიდგენია, რომ ვინმე ერიკსონის წასვლას ითხოვდეს. მეტიც, ეს თემა, მე თუ მკითხავთ, საერთოდ არ უნდა არსებობდეს“.

**პაპუნა ძიდია**

## ფეხბურთის რუკასთან

**ინგლისში** და მთელ ბრიტანეთში ყველაზე ცნობილ საფეხბურთო აგენტ პინი ზაჰავის თქმით, მალე შეიძლება კიდევ ერთი პრემიერლიგის კლუბი აღმოჩნდეს რუსი ბიზნესმენის ხელში. ზაჰავი არც პოტენციური მყიდველის ვინაობას ამხელს და არც კლუბის. „შემიძლია, გითხრათ, რომ ბევრი გუნდის ხელმძღვანელს სურს აქციების გაყიდვა, რადგანაც აბრამოვიჩის მიერ „ჩელსის“ შეძენამ დადებითი მაგალითი შექმნა. მაშინ ყველაფერი ზედმეტი მოლაპარაკების გარეშე, 15 წუთში გადაწყდა“ — განაცხადა ზაჰავიმ.

**იტალიელმა** არბიტრმა პიერლუიჯი კოლინამ გასულ სეზონში ყველაზე დიდი ჰონორარი, 153 ათასი ევრო მიიღო. კოლინა სერია A-სა და იტალიის თასის გარდა, საერთაშორისო მატჩებშიც სხვებზე ხშირად მსაჯობდა. აქვე შეგახსენებთ, რომ თებერვალში იტალიელი 45 წლის გახდება და მაღალი დონის შეხვედრებში ველარ იმსაჯებს, თუ იტალიის ლიგამ ახალი კანონი არ მიიღო, რაც არ არის გამორიცხული.

**ჩეხეთის** ნაკრების ფორვარდ მარეკ ჰაინცის მსურველთა რაოდენობა იზრდება. ოსტრავას „ბანიკი“ ფეხბურთელის რაც შეიძლება სარფიანად გაყიდვას აპირებს. კლუბის პრეზიდენტმა დალიბორ ზარუბამ აღნიშნა, ჰაინცის ფასი გაორმაგდა და ვისაც მისი ყიდვა უნდა, 2 მილიონი გირვანქა გაიღოსო. ზარუბას თქმით, მსურველთა შორის არიან „სპორტინგი“, „სელტიკი“, „სპარტაკი“, „გლადბახი“ და კიდევ რამდენიმე იტალიური კლუბი. ყველაზე დიდი შანსი კი გლაზგოელებს აქვთ.

**ინგლისური** „ჩელსის“ ყოფილმა ფორვარდმა ჯიმი-ფლოიდ ჰასელბაინკმა რამდენიმე დღის წინ ოფიციალურად მიიღო თავისუფალი აგენტის სტატუსი და ახალი კლუბის ძიებაშია. ჰასელბაინკს უმალ შესთავაზა კონტრაქტი ყატარის „ელ რაიანმა“, მაგრამ აგენტმა კატეგორიულად განაცხადა, ამ წინადადების მიღებას არ ვაპირებთ და ფეხბურთელი ევროპაში რჩებაო. ფორვარდით არაერთი კლუბია დაინტერესებული, მათ შორის: „ფულემი“, „ჩარლტონი“, „სელტიკი“ და „რეინჯერსი“.

**ჩეხეთის** ნაკრებისა და ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა მილან ბაროშმა დაადასტურა, რომ „რეალმა“ მართლაც შესთავაზა მადრიდში გადასვლა. „სამეფო კლუბისგან“ კონკრეტული წინადადება მივიღე, რომელიც კარგად უნდა განვიხილო. რა თქმა უნდა, მსიამოვნებს ასეთი ყურადღება, მაგრამ „ლივერპულთან“ კონტრაქტი მაკავშირებს და ინგლისში 19 ივლისს ვბრუნდები. პირველ რიგში, ახალ მწვრთნელს რაფაელ ბენიტესს უნდა ვესაუბრო, რათა მისი მიზნები გავიგო“ — აღნიშნა ბაროშმა. შეგახსენებთ, რომ იგი 2002 წელს 3,2 მილიონი გირვანქის სანაცვლოდ ოსტრავას „ბანიკიდან“ „ლივერპულში“ გადაბარგდა.

**არგენტინული** „რივერ პლეიტის“ ფორვარდ ფერნანდო კავენაგის საკმაოდ დიდი ხანია, მოსკოვის ცსკა უტრიალებს, თუმცა მხარეებს შორის საბოლოო შეთანხმების მიღწევა არ ხერხდება. ამ პრობლემის მოსაგვარებლად მოსკოვში დიეგო მარადონას ყოფილი და კავენაგის ამჟამინდელი აგენტი ხორხე ციტერშპილერი ჩაფრინდა. ასე რომ, დიდი შანსია, მალე ცსკა მნიშვნელოვნად გაძლიერდეს.

**იტალიურმა** „მილანმა“ მანიშე რიბეირუს დაადგა თვალი. ცოტა ხნის წინ „შავ-წითლები“ ნახევარდაცვის გაძლიერებას ედგარ დავიდსის დაბრუნებით ცდილობდნენ, მაგრამ „პიტბულმა“, „ინტერს“ მიაშურა. რაც შეეხება მანიშეს, მისით კიდევ რამდენიმე კლუბია დაინტერესებული, მათ შორის მადრიდის „რეალი“.

**საბერძნეთის** ნაკრების ძირითადმა გოლკიპერმა ანტონიოს ნიკოპოლიდისმა „ოლიმპიკოსთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 33 წლის მეკარემ შარშანდელი სეზონი „პანათინაიკოსში“ გაატარა და ქვეყნის ჩემპიონიც გახდა, მაგრამ ახლა გადაწყვიტა, კარიერა „პანათინაიკოსის“ მოსისხლე მტრის რიგებში გააგრძელოს.

# ...და ან ცაზე ვარსკვლავები

# დიეგო

1980-იანი წლების მიწურულს სერია A აშკარად მსოფლიოს საუკეთესო ლიგა იყო და ამას ძალიან სიმბოლურად დაემთხვა ის გარემოება, რომ ფიფამ მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატი იტალიაში ჩაატარა. „სკუადრა აძურა“ აძელიო ვიჩინის ხელმძღვანელობით სულაც არ იყო სუსტი, პირიქით, საკმაოდ ძლიერი გუნდი გახლდათ და ამის დასტური თუ გნებავთ ის იყო, რომ იტალიელები ნახევარფინალში ისე გავიდნენ, გოლი არ გაუშვიათ.

და არგენტინა? არგენტინა, მეორე მხრივ ოთხი წლის წინანდელი გუნდის ჩრდილი იყო, თუმცა მაინც ძლიერი, რადგან მისი ზოლებიანი მაისურა არც მეტი არც ნაკლები დიდ დიეგოს ეცვა, ხოლო კარში ჩამდგარი სერხიო გოიკოჩეა პენალტების ამღები გოლკიპერი გახლდათ.

თუმცა რატომ ვყვებით 1990 წლის მუნდიალზე, ნახევარფინალში ერთმანეთის პირისპირ იტალია და არგენტინა. სწორედ ნეაპოლში წარსდგნენ. ანუ იმ ქალაქში, სადაც მარადონა გმირი და განუსაზღვრელი დიდების ადამიანი გახლდათ. მოქალაქეებს გმირის წინააღმდეგ მათი სამშობლოს გუნდი „გამოუვარდათ.

ვითარება რთული იყო, განცდა მრავალმხრივი: თამაშამდე ერთიორი დღით ადრე დიეგომ ნეაპოლელებს არგენტინის მხარდაჭერა სთხოვა. თხოვნამ მთელი დანარჩენი იტალია გადარია, საკუთრივ ნეაპოლელები კი საგონებელში ჩააგდო, ოღონდ... მატჩამდე. თამაშის დღეს მოედანზე გასულ მარადონას ტრიბუნაზე გადმოკიდებული პლაკატი დახვდა: „ბოდიში დიეგო, ჩვენ იტალიელები ვართ!“

ძალიან თვალსაჩინო გამოდგა მავანი ნეაპოლელი ქომაგის მაშინდელი ნათქვამი, რომელიც აგერ უკვე 14 წელიწადია მეხსიერებიდან არ ამოშლილა და ეჭვია, რომ არც ამოიშლება. ტიფოზმა ბრძანა: „ჩვენ, იტალიელები იტალიას ვუქომაგებთ! საერთოდ თუ ნეაპოლელები სხვებს რაიმეში ვჯობივართ, უპირველესად დანარჩენ იტალიელებს იტალიელობაში“.

შემდეგ ეს მომენტი სიგიჟის და შემდგომი სინანულის მომენტად შეფასდა, თუმცა ნეაპოლელთა თავგადაკლულმა ქომაგობამ „სკუადრა აძურას“ ვერ უშველა, არგენტინელებმა პენალტებით მოუგეს და ფინალისკენ, რომისკენ გასწიეს, სადაც დახვდათ ის, რაც მანამდე არ თქმულა... გახმაურებული ცნობა დიეგოს ცოდვიანი ღამეული ცხოვრების შესახებ.

მანამდე ამის თაობაზე მხოლოდ ცალკეულნი ამბობდნენ სხვები კი არ იჯერებდნენ, მანამდე მხოლოდ ერთი-ორი ახლობელი განიცდიდა.

„ბოლოს და ბოლოს საკუთარ თავს ვკითხე, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ის ხალხი, ვინც ჩვენთან ღამის სამ და ოთხ საათზე მოდიოდა. — დღესაც აღშფოთებით ჰყვება დიეგოს ყოფილი მეუღლე და წლების მანძილზე მის მხარში მდგომი მეგობარი კლაუდია ვილაფანე — იცით როგორ არის? ნარკომანებს უნდათ რომ სხვაც სულ მათ საქმეში იყოს ჩართული. ისინი მოდიოდნენ, მე კი ვუბღვერდი“.

და ვინ აკონტროლებს ნეაპოლში ღამეულ ნარკოცხოვრებას? ცხადია კამორა ანუ ასე ვთქვათ, იქაური მაფია, რომელიც ამ ცხოვრების ყველა მონაწილეს თავის საცეცებით აბამს და საჭიროების შემთხვევაში ბოჭავს.

ასე და ამგვარად, 1990-91 წლების სეზონში დიეგო რეგულარულად აცდენს ვარჯიშებს და ხანდახან მატჩებზეც კი არ მიდის.

„დიეგოსთან შინ მივდიოდი და ვარჯიშზე წამოსვლას ვთხოვდი. ვეუბნებოდი, რომ დიდი თამაში გველის და მის გარეშე დაღუპულები ვართ. მიჯერებდა, მომყვებოდა, ერთს კარგად დაიტვირთებოდა, კოკაინს ორგანიზმიდან განდევნიდა და შემდეგ მე და ის პიცის საჭმელად მივეშურებოდით. დღეს ამ ყველაფერს სხვა თვალით ვიხსენებ და ვნანობ, რომ ამას [illegible] [illegible] — [illegible] „ი[illegible]“ [illegible] როგორც ამბობენ მარჩელო ლიპის მომავალი ასისტენტი იტალიის ნაკრებში, ჩირო ფერარა, რომლისთვისაც „ნაპოლის“ წლებში ბევრჯერ დაურეკავს დიეგოს ცოლს და დახმარება, ქმრის მოძებნა ან მდგომარეობიდან გამოყვანა უთხოვია.

მდგომარეობა განსაკუთრებით მაშინ დაიძაბა, როდესაც დიეგო მოსკოვში, „სპარტაკთან“ სათამაშოდ გამგზავრებას დაემალა, ტრავმა მოიმიზეზა. ეს ჩემპიონთა თასის საპასუხო მატჩი იყო, მარადონა ბოლოწამს მაინც ჩაჯდა თვითმფრინავში და გაემგზავრა. მაშინ ჯერ კიდევ საბჭოეთის დედაქალაქს, მაგრამ „ნაპოლი“ გავარდა.

მაშ ასე, სერია A-ს წინაშე იდგა 30 წლის, ტრავმებით გვარიანად შეწუხებული, განარკომანებული გენიოსი და ამბობდა:

„თუ საჭირო შეიქნება „ნაპოლისთვის“ ინვალიდის ეტლით ვითამაშებ“.

და როდესაც თამაშობდა ბრწყინავდა, მაგრამ გაბრწყინებას და გაბრწყინებას შორის დროის მონაკვეთი იზრდებოდა. რაც შეეხება გოლებს, ისინი სულ უფრო მეტად გაჰქონდა პენალტით და ნაკლებად თამაშიდან.

1991 წლის აპრილში კი დიეგო მარადონას კოკაინისტობის გამო 15 თვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს.

ნეაპოლი შოკში ჩავარდა! დიახ, დრო გადიოდა, დიახ, დიეგო ნარკომანი იყო, დიახ, მოხდა ის, რაც მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში მოხდა, მაგრამ გმირის ასეთ მოულოდნელ წასვლას მაინც არავინ ელოდა.

მას მერე დიდი დიეგო იტალიაში 13 წლის მანძილზე აღარ ჩასულა, მისი დროინდელი ნეაპოლელი ბიჭები კი უკვე მოზრდილი შვილების მამები არიან და ლეგენდებს... ნამდვილ ამბებს ჰყვებიან.

**პაპუნა ძიძია**



ადრე ვთქვი, რომ რომის პაპზე გაბრაზებული ვარ და ეს მართალია. გავბრაზდი, რადგან ვატიკანში რომ მივედი ოქროთი მოჭედილი სახურავი და სხვა ასეთი სიმდიდრე ვნახე. ამის შემდეგ მის უწმინდესობას ვუსმენდი. ის ამბობდა, რომ ეკლესია ღარიბებზე ზრუნავს. ღმერთო დიდებულო, თუ ასეა გაყიდე ეგ სახურავი და გააკეთე რამე. ბოლოს და ბოლოს მეკარე არ იყავი?





# სარბიელი და კროკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ნორვეგია. I დივიზიონი. XVI ტური** | | | | | | |
| | | **11 ივლისი** | | | | | | |
| 20.00 | 023 | ჰაუგესუნდი-ალესუნდი | 3,1 | 3,8 | 1,85 | 1,7 | 1,15 | 1,24 |
| 20.00 | 024 | ჰიოდი-სანდეფიორდი | 2,35 | 3,6 | 2,35 | 1,42 | 1,17 | 1,42 |
| 20.00 | 025 | მანდალი-ბრინი | 2,0 | 3,6 | 2,9 | 1,28 | 1,18 | 1,6 |
| 20.00 | 026 | ჰორს გრენლანდი-სტარტი | 4,2 | 4,0 | 1,6 | 2,04 | 1,15 | 1,14 |
| 20.00 | 027 | რაუფოსი-მოსი | 2,4 | 3,6 | 2,3 | 1,44 | 1,17 | 1,4 |
| 20.00 | 028 | სკეიდი-კონგსვინგერი | 2,25 | 3,6 | 2,45 | 1,38 | 1,17 | 1,45 |
| 20.00 | 029 | სტრიომსგოდსეტი-ჰიონეფოსი | 1,6 | 4,0 | 4,2 | 1,14 | 1,15 | 2,04 |
| 20.00 | 030 | ტრომსდალენი-ვარდ ჰაუგესუნდი | 2,0 | 3,8 | 2,8 | 1,31 | 1,16 | 1,61 |
| | | **ირლანდია. პრემიერლიგა. XX ტური** | | | | | | |
| | | **9 ივლისი** | | | | | | |
| 22.45 | 056 | ბოჰემიანი-უოტერფორდი | 1,7 | 3,2 | 4,6 | 1,11 | 1,24 | 1,88 |
| 22.45 | 057 | დროგედა-სტ.პატრიკსი | 1,95 | 3,1 | 3,5 | 1,19 | 1,25 | 1,64 |
| | | **რუსეთი. პრემიერლიგა. XVI ტური** | | | | | | |
| | | **10 ივლისი** | | | | | | |
| 16.00 | 071 | ყუბანი-ზენიტი | 3,4 | 3,0 | 2,05 | 1,59 | 1,27 | 1,21 |
| 16.00 | 072 | ლოკომოტივი-კრილია | 1,65 | 3,3 | 4,8 | 1,1 | 1,22 | 1,95 |
| 16.00 | 073 | როსტოვი-დინამო | 2,3 | 3,0 | 2,9 | 1,3 | 1,28 | 1,47 |
| | | **11 ივლისი** | | | | | | |
| 16.00 | 074 | ცსკა-ამარი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| 16.00 | 075 | როტორი-ტორპედო | 4,0 | 3,1 | 1,8 | 1,74 | 1,24 | 1,13 |
| 16.00 | 076 | მოსკოვი-რუბინი | 2,2 | 2,9 | 3,2 | 1,25 | 1,3 | 1,52 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ავსტრია. სუპერ თასი** | | | | | | |
| | | **9 ივლისი** | | | | | | |
| 22.30 | 115 | გრაცერი-აუსტრია | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |
| | | **უკრაინა. სუპერ თასი** | | | | | | |
| | | **10 ივლისი** | | | | | | |
| 18.00 | 117 | დინამო-შახტარი | 2,35 | 3,0 | 2,8 | 1,31 | 1,27 | 1,44 |
| | | **ინტერტოტოს თასი** | | | | | | |
| | | **10 ივლისი** | | | | | | |
| 18.00 | 118 | ხაზარი-ტამპერე | 2,7 | 3,2 | 2,25 | 1,46 | 1,22 | 1,32 |
| 18.30 | 119 | სარტიდი-დინამო(მნ) | 1,65 | 3,4 | 4,4 | 1,11 | 1,2 | 1,91 |
| 19.00 | 120 | დინაბურგი-ოფკ | 2,5 | 3,1 | 2,4 | 1,38 | 1,22 | 1,35 |
| 19.00 | 121 | მარკო-გენკი | 2,35 | 3,1 | 2,7 | 1,33 | 1,25 | 1,44 |
| 19.00 | 122 | შინიკი-ტეპლიცე | 1,95 | 3,2 | 3,3 | 1,21 | 1,22 | 1,62 |
| 19.00 | 123 | ვეტრა-ჰიბერნიანი | 2,4 | 3,1 | 2,5 | 1,35 | 1,22 | 1,38 |
| 20.30 | 124 | სლობოდა-ტრნავა | 2,2 | 3,1 | 2,9 | 1,28 | 1,25 | 1,49 |
| 21.00 | 125 | ლიბერეცი-დუნნიცა | 1,35 | 4,0 | 7,0 | 1 | 1,13 | 2,54 |
| 21.00 | 126 | კამენი-სპარტაკი | 2,2 | 3,1 | 2,8 | 1,28 | 1,23 | 1,47 |
| 21.30 | 127 | ზლინი-ვესტერლო | 1,8 | 3,2 | 3,6 | 1,15 | 1,19 | 1,69 |
| 22.00 | 128 | გენტი-ვარდარი | 1,6 | 3,5 | 4,6 | 1,09 | 1,18 | 1,98 |
| 00.00 | 129 | ვილიარეალი-ოდენსე | 1,35 | 4,0 | 7,0 | 1 | 1,13 | 2,54 |
| | | **11 ივლისი** | | | | | | |
| 18.30 | 130 | კორკი-ნაიმეგენი | 2,25 | 3,1 | 2,8 | 1,3 | 1,24 | 1,47 |
| 19.00 | 131 | თუნი-ვოლფსბურგი | 2,6 | 3,2 | 2,3 | 1,43 | 1,22 | 1,33 |
| 20.00 | 132 | ვლაჩნია-სლავენი | 2,8 | 3,1 | 2,2 | 1,47 | 1,23 | 1,28 |
| 20.15 | 133 | ნიცა-ესბიერგი | 1,45 | 3,6 | 6,0 | 1,03 | 1,16 | 2,25 |

## COPA AMERICA PERU 2004 — ამერიკის თასი 2004. ჯგუფური ტურნირი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **9 ივლისი** | | | | | | |
| 02.30 | 007 | კოლუმბია-ბოლივია | 1,7 | 3,3 | 4,6 | 1,12 | 1,24 | 1,92 |
| 04.45 | 008 | პერუ-ვენესუელა | 1,5 | 3,6 | 6,0 | 1,05 | 1,2 | 2,25 |
| | | **10 ივლისი** | | | | | | |
| 02.30 | 009 | ურუგვაი-ეკვადორი | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,21 | 1,25 | 1,62 |
| 04.45 | 010 | არგენტინა-მექსიკა | 1,65 | 3,4 | 4,8 | 1,11 | 1,22 | 1,99 |

### I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **9 ივლისი** | | | | | | |
| 5007 | კოლუმბია-ბოლივია | 2,15 | 2,1 | 5,0 | 1,06 | 1,5 | 1,47 |
| 5008 | პერუ-ვენესუელა | 1,85 | 2,3 | 5,0 | 1,02 | 1,35 | 1,57 |
| | **10 ივლისი** | | | | | | |
| 5009 | ურუგვაი-ეკვადორი | 2,5 | 2,0 | 4,0 | 1,11 | 1,53 | 1,33 |
| 5010 | არგენტინა-მექსიკა | 2,15 | 2,1 | 5,0 | 1,06 | 1,5 | 1,47 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| | **9 ივლისი** | | |
| 5307 | კოლუმბია-ბოლივია | 1,6 | 2,0 |
| 5308 | პერუ-ვენესუელა | 1,65 | 1,95 |
| | **10 ივლისი** | | |
| 5309 | ურუგვაი-ეკვადორი | 1,6 | 2,0 |
| 5310 | არგენტინა-მექსიკა | 1,6 | 2,0 |

| | 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **9 ივლისი** | | | | | | | | | |
| 5107 | კოლუმბია-ბოლივია | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5108 | პერუ-ვენესუელა | 2,0 | 15,0 | 35,0 | 3,5 | 5,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| | **10 ივლისი** | | | | | | | | | |
| 5109 | ურუგვაი-ეკვადორი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5110 | არგენტინა-მექსიკა | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 8,5 | 20,0 | 10,0 | 7,5 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| | **9 ივლისი** | | |
| 5407 | კოლუმბია-ბოლივია | 1,6 | 2,4 |
| 5408 | პერუ-ვენესუელა | 1,35 | 3,2 |
| | **10 ივლისი** | | |
| 5409 | ურუგვაი-ეკვადორი | 1,75 | 2,1 |
| 5410 | არგენტინა-მექსიკა | 1,5 | 2,6 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| | **9 ივლისი** | | |
| 5207 | კოლუმბია-ბოლივია | 1,65 | 1,95 |
| 5208 | პერუ-ვენესუელა | 1,7 | 1,9 |
| | **10 ივლისი** | | |
| 5209 | ურუგვაი-ეკვადორი | 1,7 | 1,9 |
| 5210 | არგენტინა-მექსიკა | 1,8 | 1,8 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| | **9 ივლისი** | | | |
| 5507 | კოლუმბია-ბოლივია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5508 | პერუ-ვენესუელა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | **10 ივლისი** | | | |
| 5509 | ურუგვაი-ეკვადორი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5510 | არგენტინა-მექსიკა | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## ფორმულა 1 (დიდი ბრიტანეთი). 10 ივლისი (12.00)

| 8001 გამარჯვებული | 8201 ექვსეული | 8301 უსწრ. წრე |
|---|---|---|
| მ.შუმახერი ----------- 1,35 | 1,05 ---------- 1,02 | 1,4 |
| ბარიკელო -------------- 6,0 | 1,6 ------------1,1 | 4,0 |
| მონტოია -------------- 12,0 | 2,5 ------------1,2 | 7,0 |
| ჟენე ------------------- 25,0 | 6,0 ------------1,4 | 15,0 |
| კულტჰარდი --------- 20,0 | 4,0 ------------1,3 | 15,0 |
| რაიკონენი ------------ 20,0 | 4,0 ------------1,3 | 15,0 |
| ტრული -------------- 10,0 | 2,0 ---------- 1,15 | 7,5 |
| ალონსო ------------- 10,0 | 2,0 ---------- 1,15 | 7,5 |
| ბატონი ----------------- 8,0 | 1,75 ------------1,1 | 6,0 |
| სატო ----------------- 15,0 | 3,0 ------------1,2 | 12,0 |
| ფიზიკელა ------------ 100,0 | 20,0 ------------3,0 | 40,0 |
| მასა ------------------ 150,0 | 20,0 ------------3,5 | 50,0 |
| უებერი -------------- 100,0 | 20,0 ------------3,0 | 40,0 |
| კლიენი -------------- 150,0 | 20,0 ------------3,5 | 50,0 |
| და მატა ------------- 150,0 | 20,0 ------------3,5 | 50,0 |
| პანისი --------------- 150,0 | 20,0 ------------3,5 | 50,0 |
| პაიდფელდი --------- 250,0 | 50,0 ------------7,0 | 75,0 |
| პანტანო ------------- 300,0 | 50,0 ------------7,0 | 75,0 |
| ბრუნი --------------- 500,0 | 100,0 ---------- 12,0 | 100,0 |
| ბაუმგარტნერი ------ 500,0 | 100,0 ---------- 12,0 | 100,0 |


CROCO BOOKMAKERS კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS

ტელკრედიტი

TELCREDITI

10

42 00 24

+%


## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

CROCO BOOKMAKERS კროკო

**ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება**



# სტეფანიამ უილიამსი იტალიაში გაუშვა

## თავად ფეხი არ უშვებს

იტალიურ შეკრებაზე ნბა-ს სამივე ქართველი შესაძლოა, ვერ ჩამოვიდეს, მაგრამ ამით ქვეყანა არ დაიქცევა, ჩვენებურები არიან და როცა საქმე მოითხოვს, ნაკრებს გვერდში დაუდგებიან. უფრო მნიშვნელოვანი ალბათ ისაა, რომ ნბა-დან ჩვენი ნაკრების ყველაზე სუსტი რგოლის შესავსებად მოდის ზანგი გამთამაშებელი შემონდ უილიამსი, რომელიც ფედერაციის პრეზიდენტ ბესიკ ლიპარტელიანს იტალიაში შეხვდება და ყველაფერი იქ გადაწყდება. უილიამსი რომ ჩვენს ნაკრებში თამაშს დათანხმდა, ნბა-ში მოთამაშე ქართველების, განსაკუთრებით კი ვლადიმერ სტეფანიას დამსახურებაა, რომელიც დიდი სერიოზულობით მოეკიდა ჩვენი ფედერაციის თაოსნობას და უილიამსიც დაითანხმა...

— დღეს შემონდმა დამირეკა და საბოლოო პასუხი მითხრა, იტალიაში მივდივარო — გვითხრა ვლადიმერ სტეფანიამ გუშინწინ — ჩვენი მხრიდან ალარანაირი პრობლემა არ არსებობს. შემონდი, ზაზა ფაჩულია და შესაძლოა, მეც 20 ივლისს იტალიაში საქართველოს ნაკრებს შევუერთდეთ.

**— უილიამსი თუ თანახმაა, ესე იგი, ყველაფერი გადაწყვეტილია. იტალიაში ის საქართველოს ნაკრების წევრი გახდება...**

— ალბათ ეგრეც მოხდება, მაგრამ არსებობს მეორე მხარეც — ჩვენი ფედერაცია. თუ უილიამსისთვის ქართული პასპორტის გაცემა დაუბრკოლებლად მოხდება, ესე იგი, ყველაფერი მოგვარებული ყოფილა და შეგვიძლია, უილიამსი ჩვენი ნაკრების წევრად მოვიხსენიოთ. შემონდი თანახმაა, ამბობს, თუ თქვენს ნაკრებში თამაშის ნებას დამრთავენ, არც დავფიქრდებიო.

**— კი მაგრამ, რატომ აკეთებს ამას უილიამსი, რითია მოტივირებული?**

— არ მინდა, ცუდად გამომივიდეს, მაგრამ უილიამსისთვის საქართველოს ნაკრებში თამაში ერთგვარი გართობა იქნება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი ყოველ მატჩში ბოლომდე არ დაიხარჯება. უბრალოდ, ხომ იცი ამერიკელების ამბავი, ადგა და სრულიად უცნობი ქვეყნის ნაკრებში გადაწყვიტა თამაში. შესაძლოა, ამას მრავალფეროვნების გამო აკეთებდეს.

**— და ფული არაფერ შუაშია?**

— არა, რა ფული, უილიამსმა ბოლო სეზონში 2,2 მილიონი აიღო. ის ძალიან მდიდარია და საქართველოს ფედერაციისგან კაპიკს არ ითხოვს. მან ეს ჩვენს გამო გააკეთა, ნბა-ში მოთამაშე ქართველებს უილიამსი კარგად გვიცნობს და საკმარის პატივსაც გვცემს. ისე, შემონდ უილიამსი ამერიკელ კალათბურთელებს შორის ალბათ ის გამონაკლისია, ნბა-ს სამივე ქართველს რომ გვიცნობს. მას ნიკასთანაც უთამაშია და ზაზასთანაც. შემონდმა ფაჩულია ჯერ კიდევ „ულქერში" ყოფნისას გაიცნო. მასთან მეც ახლოს ვარ, ხოლო უილიამსის სერბი მენეჯერი ჩემი მეგობარია.

**— უილიამსის გარდა, კიდევ იყო კანდიდატურები, ისინი რატომ გამოირიცხნენ?**

— აქ ისევ ქართველებისადმი დამოკიდებულებამ და ევროპაში თამაშის გამოცდილებამ ითამაშა გადამწყვეტი როლი. იყო სხვა კანდიდატებიც — მაიკ ჯეიმსი, ედი ჰაუსი, მაგრამ ბესიკ ლიპარტელიანმა ჩვენი რეკომენდაციით შემონდ უილიამსი ირჩია.

**— იტალიაში უილიამსი თუ ითამაშებს?**

— არა მგონია, ერთი კვირის წინ ფეხის მცირე ტრავმა მიიღო და იტალიაში დატვირთვას მოერიდება. ისე, ალბათ მსუბუქად ივარჯიშებს ჩვენს ნაკრებში. უილიამსი ახლა განსაკუთრებით უფრთხილდება თავს. „ნიუ ორლეანთან" კონტრაქტი დაუმთავრდა და ახალი გუნდი უნდა მონახოს. ამ დროს სრულ მზადყოფნაში უნდა იყო, კარგ კონტრაქტს ისე ვერ დაიმსახურებ. ისე, ეს არ წარმოადგენს უილიამსისთვის პრობლემას, ის უგუნდოდ არ დარჩება.

**— თქვი, იტალიაში ეგებ მეც ჩამოვყვე უილიამსსო. არადა, თითქოს გადაწყვეტილი გქონდა ჩასვლა...**

— მუხლი მაწუხებს, მთელი დატვირთვით ჯერაც ვერ ვვარჯიშობ. სირბილი მიჭირს, ოპერაციის შემდეგ რეაბილიტაციას სავარაუდოზე მეტი დრო დასჭირდა. იტალიაში ჩასვლის პრობლემა არ მაქვს, მაგრამ არ მინდა, მაყურებლის როლში ვიყო. ნაკრებში დიდი ხანია, არ მითამაშია და სკამზე საჯდომად როგორ ჩავიდე?! თუმცა იმედს ვიტოვებ, ტკივილები მალე გამივლის, იტალიურ შეკრებამდე ჯერ კიდევ 12 დღეა.

**ირაკლი პერტაია**



# ხარებს თბილისი მოუხდათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

**პრეტორიელმა** „ბლუ ბულზმა" სამხრეთაფრიკული „ქარის თასის" გათამაშება დაიწყო. თბილისური შეკრებიდან დაბრუნებულმა „ხარებმა" პირველ ტურში მოწინააღმდეგე „არწივები" 75:10 გაანადგურეს.

პრეტორიელთა რიგებში არ იყვნენ მოწინავენი: ხეო კრონხე, ბაქის ბოთა, ვიქტორ მეტფილდი, პედრი ვანენბურგი და ფიური დიუპრე. მიუხედავად ამისა, მათ ისეთი ანგარიშით მოიგეს, არც ერთი თბილისური თამაშისასაც რომ არ დაფიქსირებულა.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ეტიენ ბოთამ და იოჰან როეტმა. პირველმა 4 ლელო გაიტანა, მეორე კი ჰეთ თრიქით გამოირჩა.

„ხარები" გათამაშების ცხრილს სათავეში ჩაუდგნენ და, როგორც ჩანს, მზად არიან, ზედიზედ მესამედ მოიპოვონ თასი.

**ლადო ფულუკიძე**



ბაჩო კორინთელის ფოტო

„ბლუ ბულზმა" ქარის თასამდე რუსთავის „ფოლადზეც" ღვარა ოფლი

# ქურციკები გადახტომამდე ჰოპლას არ ამბობენ

**სამხრეთ აფრიკის** მორაგბეთა ნაკრები სამი ერის გათამაშებისთვის ემზადება. ამ დღეებში იგი ავსტრალიაში გაფრინდა, 17 ივლისს კი წყნარი ოკეანის კუნძულების ნაკრებს უნდა დაუპირისპირდეს, რომელიც ფიჯის, ტონგასა და სამოას საუკეთესო მორაგბეების კრებულია და სერიოზულ ძალას წარმოადგენს, თუმცა მათ დღემდე ერთად მხოლოდ 3 საერთაშორისო მატჩი გაუმართავთ, ისიც სულ რაღაც ოცდღიან მონაკვეთში და გამოცდილებით ვერ დაიკვეხნიან. დაღლილობაც ალბათ თავისას იზამს. თან ამას ისიც ემატება, რომ ერთ-ერთი წამყვანი მორაგბე, სეილალა მაპუსუა ავსტრალიელებთან განსაკუთრებული უხეშობისთვის დისკვალიფიცირებულია.

აი, რას ამბობს მატჩის წინ სამხრეთაფრიკელთა მწვრთნელი ჯეიკ ვაითი: „ქუჩაში რომ ჰკითხო ქომაგს, რას ფიქრობს ჩვენს მოწინააღმდეგეზე, გეტყვით, რომ სუსტი გუნდია, მე კი ასე არ ვფიქრობ. ფიჯიც, ტონგაც და სამოაც სარაგბო რეიტინგში პირველ 16 გუნდში არიან. ახლა წარმოიდგინეთ მათი კრებული. კუნძულელთა ერთადერთი ნაკლი შეუთამაშებლობაა."

აფრიკელები უხეშ თამაშს ელიან, თუმცა იმედია, რაგბის საერთაშორისო სადისციპლინო კომიტეტის მკაცრი ზომები კუნძულელებს ჭკუას ასწავლის და მოედანზე ძვლების მტვრევას მოაშლევინებს.

კუნძულელთა ნაკრებთან შეხვედრის შემდეგ „ქურციკები" ახალ ზელანდიას და ავსტრალიას დაუპირისპირდებიან. ვაითმა ამ მატჩების თაობაზეც გააკეთა კომენტარი: „ჩვენ ყოველთვის გამარჯვებისთვის ვიბრძვით, მაგრამ რეალისტები ვართ. ჩვენმა ნაკრებმა სამი ერის პირველობაზე სტუმრად ბოლოს 1998 წელს მოიგო და ახლაც ძალიან გაგვიჭირდება. თუმცა მონდომებას და ბრძოლას არ დავაკლებთ".

**ლადო ფულუკიძე**

# ლომუ: ილუზიები სხვისი თირკმლით

**სიცოცხლეშივე** რაგბის ლეგენდად მონათლული, ახალზელანდიელთა კერპი, 29 წლის ჯონა ლომუ, რომელსაც 1996 წელს ექიმებმა თირკმლის დაავადების დიაგნოზი დაუსვეს, შეიძლება დიდ რაგბის დაუბრუნდეს.

მთელი თავისი სიდიადით ლომუმ 1995 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიბრწყინა. მომდევნო წელს კი ექიმებმა სამწუხარო ამბავი ამცნეს. მიუხედავად ავადმყოფობისა, ლომუს თამაშისთვის თავი არ დაუნებებია, 1999 წლის მსოფლიოს თასზეც ვიხილეთ და 2002 წლამდეც გააგრძელა კარიერა, ანუ მანამდე, სანამ ძალებმა საბოლოოდ არ უმტყუნა. 2003 წლის მსოფლიოს პირველობამ კი უმისოდ ჩაიარა...

როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ლომუს დაავადება მეტად სერიოზულია და ხშირ შემთხვევაში ფატალური შედეგითაც სრულდება ხოლმე, თუმცა მოურჩენელ სენად არ ითვლება და სწორი მკურნალობის შემთხვევაში ადამიანს შეუძლია, აქტიურ ცხოვრებას დაუბრუნდეს.

ცოტა ხნის წინ კი რაგბის მოყვარულებმა ერთი სანუგეშო ამბავი შეიტყვეს. ჯონას სამმა მეგობარმა სურვილი გამოთქვა, მისთვის საკუთარი თირკმელი შეეწირათ. მათგან დონორი, ცხადია, ერთი იქნება და დიდ სპორტსმენს სწორედ მის ჯანსაღ თირკმელს გადაუნერგავენ.

ლომუ აცხადებს, რომ ოპერაციის წარმატებით დასრულების შემთხვევაში დიდ რაგბის დაუბრუნდება და ეცდება, მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზოს, თუმცა შიშობს, ვაითუ ამ ყველაფერს დიდი დრო დასჭირდესო. „ჯერ დონორი უნდა შეირჩეს, ამის შემდეგ რამდენიმეთვიანი მოსამზადებელი პერიოდია, ასე რომ, ვეჭვობ, ოპერაცია წლეულს მოესწროს" — განაცხადა დიადმა და მარად ოპტიმისტმა ახალზელანდიელმა.



**ლადო ფულუკიძე**

# ვილკინსონი ჯანზეა

**2003 წლის** მსოფლიოს თასის ინგლისელი მშვენება ჯონი ვილკინსონი გამოტყდა, რომ შარშანდელ ნოემბერში მიღებული კისრის ტრავმის შემდეგ თავის სარაგბო კარიერას დასრულებულად თვლიდა.

25 წლის ვარსკვლავს თებერვალში ქირურგების დახმარებაც დასჭირდა. როგორც ჩანს, მათ პირნათლად მოიხადეს თავიანთი ვალი, რადგან ვილკინსონი უკვე მწყობრშია და თავის კლუბთან ერთად ვარჯიშს შეუდგა.

„ახლა ვხვდები, რა სუსტი ყოფილა ადამიანი. ამდენი ბრძოლის გადამტანი ჯანიანი კაცი უსუსური აღმოჩნდი პატარა ტრავმის წინააღმდეგ, რომელმაც შეცვალა მთელი ჩემი კარიერა" — ამბობს ჯონი.

თურმე ჯონის კისერი ბავშვობიდანვე აწუხებდა, თუმცა სერიოზულად მანამ ვერ იმკურნალა, სანამ ტრავმა არ მიიღო.

„დარწმუნებული ვარ, სრულიად გამოვჯანმრთელდი, კისერი აღარ არის ჩემი სუსტი წერტილი" — გვაიმედებს და თავსაც იიმედებს ინგლისელი სუპერვარსკვლავი და იფიცება, რომ არც მომავალში შეუშინდება ორთაბრძოლებს და მისი თამაშის სტილი კვლავ ძალისმიერი იქნება.

**ლადო ფულუკიძე**

# ქიისის სიურპრიზი

## ჭაჭით აცრემლებული ნამიბიელი რემბო

ორმეტრიანი და 120-კილოგრამიანი გიგანტი, ნამიბიელი ქიის ლენსინგი ახლახან თბილისში იყო სამმატჩა ტურნირზე პრეტორიის „ბლუ ბულზთან" ერთად. შარშანდელ მსოფლიოს თასზე ნამიბიის ნაკრებში ნათამაშები შერკინების ბურჯი „ბულზების" ახალი თაობის ლიდერია. ეს ინტერვიუ საქართველოს ნაკრებთან მატჩის წინა დღეს შედგა, სამხრეთ აფრიკაში გაფრენამდე ერთი დღით ადრე. „ბულზებმა" თავიანთი ბარბექიუ გამართეს საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების ბაზაზე და აქ მოსაქმე სამხრეთაფრიკელი დიპლომატისგან საჩუქრად თითო-თითო ბოთლი არაყი „სტალინიც" მიიღეს. ლენსინგი გულთან მიბჯენილი ბოთლით შემოვიდა ბაზის ფოიეში და საუბარიც თავისთავად დაიწყო



ბადრი კეთილაძის ფოტო

ნამიბიელი ქიის ლენსინგი „ბლუ ბულზის" თბილისურ მატჩებში ერთ-ერთი გამორჩეული იყო

— იცი, რომ სტალინი ქართველი იყო?

— არა, რუსი მეგონა...

— სტალინის ნამდვილი სახელი და გვარი იოსებ ჯუღაშვილია. იგი აქედან 80 კილომეტრში, ქალაქ გორში დაიბადა.

— ჯუ-ღა-შვილი, ასე არა?! კოლეჯში სწავლისას ზოგადი ისტორიის ლექციებს ვესწრებოდი და იქ ნასწავლიდან ვიცი, რომ სტალინი რუსი იყო. საოცარია, ნუთუ ტყუილს გვეუბნებოდნენ?!

— აქ ჩამოსვლამდე რა იცოდი საქართველოზე?

— ბევრიც არაფერი, ძალიან მწირი ინფორმაცია გამაჩნდა. მხოლოდ ის ვიცოდი, რომ შარშან მსოფლიოს თასზე ითამაშა თქვენმა ნაკრებმა — მორაგბეთა უმეტესობა კი საფრანგეთში თამაშობს. ერთი სიტყვით, არაფერიც არ ვიცოდი. კინაღამ დამავიწყდა ტენკ ჰენდრიქსი — ეს სახელი რამეს გეუბნება?

— რუსეთის მოქალაქეობა რომ მიიღო და რუსეთის ნაკრების ბურჯი რომაა?

— ჩემი ძმაკაცია, რუსეთიდან ისევ ჩვენ დაგვიბრუნდა. ტენკი ნამყოფია თბილისში. აი, თქვენებმა რუსეთის ნაკრებს რომ მოუგეს და მსოფლიოს თასზე გავიდნენ, იმ მატჩში ითამაშა.

ძალიან უნდოდა აქ ჩამოსვლა, მაგრამ ვერ შეძლო, ტრავმირებულია. ჰოდა, დამაბარა, ქართველებს შერკინების პირველ ხაზში ერთი მარჯვენა ბურჯი ჰყავთ, მე-3 ნომერი, თბილისურ მატჩში მაჯობა და ჩემს მაგივრად იყარე ჯავრიო.

— ლევან ცაბაძეზე ამბობ. აღარ ითამაშებს, სანაკრებო კარიერა დასრულა.

— მართლა? საწყენია, ძმაკაცს რომ დავპირდი...

— წელან ნამიბიელი ქიისი თქვი, შენი მეტსახელია?

— ოღონდ სრული ვერსია. მოკლედ ნამბოს მეძახიან, ნამიბიის და რემბოს მიქსია.

— ნამიბიაში რაგბი არც ისე მაღალ დონეზეა. როგორ მოხვდი მსოფლიოში ერთ-ერთ სახელიან სამხრეთაფრიკულ კლუბში?

— მაგრად გამიმართლა. „ბლუ ბულზის" სკაუტებმა შემამჩნიეს და ორი წლის წინ გადამიყვანეს თავიანთ კლუბში, წარმოიდგინე, როგორი ბედნიერი ვარ. ზე-12-ში მიწევს თამაში და სარაგბო საზომებით საკმაოდ ნორმალური ანაზღაურება მაქვს.

— მაინც რამდენი...

— ეს საიდუმლოა. ერთს კი გეტყვი, ჩემს ოჯახს პრაქტიკულად მე ვინახავ.

— დიდი ოჯახი გაქვს?

— არა. დედა, მამა, უმცროსი ძმა და ბიძაშვილი გოგო, რომელიც ჩვენთან იზრდება, რადგან მის სწავლის ხარჯებს მე ვიხდი.

— ნამიბიაში ცხოვრების დონე როგორია?

— რაც თქვენგან მოვისმინე, მგონი, საქართველოს და ნამიბიას შორის პარალელების გავლება შეიძლება. ვერ ვიტყვი, რომ უკეთესად ვცხოვრობთ, ვიდრე თქვენ. ალბათ თანაბარი დონეა, ჩვენთან კრიმინალი გაცილებით მეტია, ამის დანახვა ერთი შეხედვითაც შეიძლება. დიდ ქალაქებში არა, მაგრამ გარეუბნებში და სოფლებში არასრულწლოვანთა ბანდებია, რომლებსაც პოლიცია ვერ უმკლავდება. ღამით ქუჩებში მშვიდად ვერ გაივლი, არავინ იცის, მძარცველი საიდან მოგეპარება. ერთი კია, სამხრეთ აფრიკა და ნამიბია კვების მხრივ იაფი ქვეყნებია, რაც ძალიან დიდი შეღავათია, მით უმეტეს, ჩვენთვის, მორაგბეებისთვის. ხომ მიყურებ, რამდენს ვჭამ!

— და არც სასმელზე ამბობ უარს.

— როცა დალევის დრო და ადგილია, რატომ უნდა ვთქვა უარი?! მით უმეტეს, არც მწვრთნელი გვიშლის. შენ შენი მოედანზე დადე და მის გარეთ რას გააკეთებ, არავისი საქმე არ არის. ეს არის პროფესიონალიზმი, იცოდე ყველაფრის დრო და ზომა.

ძალიან მომეწონა თქვენი ჭაჭა, მაგარი არაყია, სულ ცრემლები მადინა, ერთი ბოთლი მიმაქვს.

— კიდევ რა მოგეწონა?

— თქვენი გოგოები! ამას ვამბობ მე, მსოფლიოში ალბათ ყველაზე პრეტენზიული კაცი და ერთიც: არ მინდა, ისე გამიგოთ, თითქოს ეთიკას ვიცავდე, მართლა ძალიან კეთილები და სტუმართმოყვარე ხალხი ხართ. თანაც უძველესი კულტურის პატრონები, რაც მე მცხეთაში ვნახე, არასდროს დამავიწყდება. ორივე ხელს მალლა ვწევ ქართველთა პატივისცემის ნიშნად. ჰო, მართლა, ხვალ მატჩის შემდეგ ჩემს პატივისცემას დავამტკიცებ.

— როგორ?

— ესეც საიდუმლოა.

**ბაჩო სვანიძე**



ბადრი კეთილაძის ფოტო

გამოსამშვიდობებელ ბანკეტზე ქიისმა დაასხა და ითამადა კიდეც

*P.S. საქართველოს ნაკრებთან მატჩის შემდეგ ქიის ლენსინგი და კიდევ ორი სამხრეთაფრიკელი მორაგბე ქართველების სუფრას მიუსხდნენ. ქიისმა, „ტამადუ" მე ვიქნებიო და, ქართული ტრადიციებით თანმიმდევრობით მიჰყვა სადღეგრძელოებს. მასპინძელთა გაკვირვებამ პიკს მაშინ მიაღწია, როცა ქიისმა სარაგბო ოჯახიდან წასულების სადღეგრძელო დალია და მისიანებს ანიშნა, სასმისები შეავსეთ, ამაზე გაჩერება არ შეიძლებაო. ეს იყო ქიისის პატარა საიდუმლო, სადღეგრძელოები კი წინა ღამით საგანგებოდ ისწავლა.*



# ხუთი ოქროს ფასი ცოდვა

**ამერიკელი** მძლეოსანი ჯეროიმ იანგი 1999 წელს დოპინგანალიზისას ნანდროლონზე ჩავარდა და დისკვალიფიკაცია უნდა მიესაჯოსო — ასეთი ვერდიქტი გამოიტანა ლოზანაში სპორტულმა საარბიტრაჟო სასამართლომ.

ამ სასამართლოს აზრით, იანგის დისკვალიფიკაცია 1999 წლის 26 ივნისს უნდა დაწყებულიყო და 2001 წლის 25 ივნისს დასრულებულიყო. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ამერიკელს სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლა არ შეეძლო, რეალურად კი ყველაფერი სხვაგვარად წარიმართა.

იანგს არათუ დისკვალიფიკაცია მიესაჯა, არამედ ამერიკის ეროვნულმა მძლეოსნობის ფედერაციამ დოპინგანალიზის შედეგი დამალა და სპორტსმენი სიდნეიშიც მიავლინა, სადაც მან თანაგუნდელებთან ერთად 4X400 მეტრზე ოქროს მედალი მოიპოვა.

შეგახსენებთ, რომ იანგმა იმ ესტაფეტაში წინასწარ გარბენებში იასპარეზა. ფინალში კი უმისოდ იმარჯვეს მაიკლ ჯონსონმა, ელვინ ჰარისონმა, კელვინ ჰარისონმა და ანტონიო პეტიგრიუმ. ოქროს მედლით დაჯილდოვდა იანგიც, რომელმაც თანაგუნდელების ფინალში გასვლაში წილი დაიდო.

ახლა იანგსა და მის ოთხივე თანაგუნდელს იმ ოქროს მედლების ჩამორთმევის საშიშროება რეალურად ემუქრებათ.

და რას ამბობს თავად იანგი?

„სპორტული სასამართლოს განაჩენი [illegible] 2000 წელს მე გამამართლა სასამართლომ, რომელიც სამი დამოუკიდებელი არბიტრისგან შედგებოდა. მათ შეისწავლეს ყველა დამამტკიცებელი საბუთი და დაადგინეს, რომ აშშ-ს მძლეოსნობის ფედერაციამ ვერ დაადასტურა ჩემი დანაშაული".

აქვე უნდა ვთქვათ, რომ სპორტული საარბიტრაჟო სასამართლო მუდამ ბოლო ინსტანციაა, რომელსაც სააპელაციოდ თავად სპორტსმენები მიმართავენ, მისი განაჩენი კი არ გასაჩივრდება.

ახლა მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ (IAAF) უნდა მიმართოს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს რეკომენდაციით, რათა აშშ-ის საესტაფეტო გუნდს დისკვალიფიკაცია მიესაჯოს. საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში სიდნეის ოლიმპიური თამაშების ოქროს მედლები ნიგერიელების კუთვნილება გახდება, რომლებმაც მაშინ ვერცხლი მოიპოვეს.

დაგვიანებული დისკვალიფიკაციის პრეცედენტი ერთხელ უკვე იყო — ერთი თვის წინათ IAAF-მა დუეინ ჩამბერსის ტეტრაგიდროგესტრინონზე დადებითი დოპინგტესტის გამო გააუქმა ბრიტანელთა მეორე ადგილი პარიზში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე, სადაც ალბიონელებმა ჩამბერსთან ერთად ესტაფეტაში ვერცხლის მედალი მოიპოვეს.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# ცეცხლი ათენს უბრუნდება

**ამა წლის** 25 მაისს საბერძნეთის ქალაქ ოლიმპიაში პარაბოლური სარკის დახმარებით მზემ ოლიმპიური ჩირაღდანი აავიზგიზა. ერთი კვირის განმავლობაში დაჰქონდათ ის ელინთა მიწაზე, შემდეგ კი საერთაშორისო გზას გაუყენეს და ოლიმპიურმა ცეცხლმა ისტორიაში პირველად გადაკვეთა აფრიკის კონტინენტი. 35-დღიანი მსოფლიოს ესტაფეტის შემდეგ ჩირაღდანი კვლავ საბერძნეთს უბრუნდება — დღეს ის სამშობლოში ჩავა, სადაც 13 აგვისტომდე იმოგზაურებს, სანამ საბოლოოდ არ დაინთება ათენის ოლიმპიურ სტადიონზე.



ათენამდე ჩირაღდანმა სერგეი ბუბკას ხელიც გამოიარა

# ჯავშანტექნიკა ოლიმპიელთათვის

**ათენის** ოლიმპიადაზე უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომები რომ იქნება მიღებული, ამაზე ბევრი დაწერილა, თუმც ოლიმპიადის ებრაელი კონსულტანტები ფიქრობენ, რომ სპორტსმენებს მაინც ემუქრებათ საფრთხე. მერე რა, რომ სასტუმროები, სტადიონები თუ დარბაზები ტერორისტთათვის მიუწვდომელია. სპორტსმენებს საშიშროება სხვადასხვა დანიშნულების ადგილებამდე მგზავრობის დროს ელითო.

ებრაელებმა უკვე შესთავაზეს ბერძნებს სპეციალური ჯავშნიანი ავტობუსები, რომლებიც ისრაელში მრავლადაა და ხშირად მათ სკოლებიც კი ქირაობენ ბავშვთა უსაფრთხოებისთვის.

თუ ეს პროექტი წარმატებით განხორციელდა, ისრაელს მრავალმილიონიანი ინვესტიცია ელის, სპორტსმენებს კი ბოლომდე შეჯავშნა.

**ლადო ფულუკიძე**

# ნაბოლარა, რომელიც მუდამ პირველი იყო



**სიდნეის** ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალზე ოლიმპიური ჩირაღდანი ვეტერან ავსტრალიელ სპორტსმენ ქალთა ხელიდან ხელში ტრიბუნების ყიჟინისა და მხურვალე ტაშის გრიალში გადადიოდა. განსაკუთრებული ოვაცია ატყდა, როცა ჩირაღდანი 62 წლის დაუნ ფრეზერმა ჩაიბარა. ერთი წლით ადრე ეს ქალბატონი ვენაში გამართულ უდიდეს სპორტსმენთა დაჯილდოების ცერემონიალზე XX საუკუნის საუკეთესო მოცურავე ქალად გამოაცხადეს. მაშინ, ვენის ოპერაში მასთან ერთად ლეგენდარული სპორტსმენები მუჰამედ ალი, მაიკლ ჯორდანი, შტეფი გრაფი, მარკ სპიცი, კარლ ლუისი, პელე და ნადია კომანეჩიც აღიარეს. სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის რეფერენდუმის შედეგად დაუნ ფრეზერი XX საუკუნის 25 სპორტსმენს შორის საუკეთესოდ დასახელდა.

მახსოვს ატლანტაც, სადაც 100-წლოვან ოლიმპიურ თამაშებზე ფრეზერი ყველა დროის ერთ-ერთ უდიდეს ოლიმპიელად შერაცხეს.

უფრო ადრე, 1988 წელს დაუნ ფრეზერი ავსტრალიის ყველა დროის უდიდეს ოლიმპიელ ქალად გამოაცხადეს, ამ ქვეყნის ყველაზე სათაყვანებელ პიროვნებად მიიჩნიეს, ავსტრალიის სულის სიმბოლოდ აღიარეს და ცოცხალ ეროვნულ საგანძურად შერაცხეს.

დაუნ ფრეზერი წლის ავსტრალიელად ჯერ კიდევ თავისი დიდების ზენიტში, 1964 წელს დასახელდა. მაშინ, ტოკიოში, თავის მესამე ოლიმპიურ თამაშებზე გაიმარჯვა.

იაპონიის დედაქალაქში გამართული ოლიმპიური თამაშების გმირად სრულიად სამართლიანად ეთიოპიელი მარათონელი აბებე ბიკილა დაასახელეს. მანამდე, რომის თამაშებში ასეთად ასევე სამართლიანად ამერიკელი მძლეოსანი ვილმა რუდოლფი აღიარეს, მელბურნში კი მსგავსი პატივი წილად ხვდა საბჭოთა მძლეოსან ვლადიმერ კუცს.

და ახლა, წლების მერე, როცა ისტორია გადაფასდა, მელბურნის ოლიმპიური თამაშების ყველაზე გამორჩეულ სპორტსმენად დაუნ ფრეზერს ასახელებენ.

ტოკიოს აუზში როცა დაუნ ფრეზერმა მესამე ოლიმპიურ თამაშებში გაიმარჯვა, გახდა პირველი მოცურავე ქალი, ვინც ასეთ წარმატებას მიაღწია, კაცებში კი მსგავსი მიღწევებით მხოლოდ ამერიკელები დიუკ კაჰანამოკუ და ჯონი ვაისმიულერი იწონებდნენ თავს. ამასთან, ფრეზერი გახდა საერთოდ პირველი მოცურავე, ვინც სამივე ოლიმპიადაზე ერთსა და იმავე დისციპლინაში (100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში) გაიმარჯვა.

ფრეზერი იყო პირველი ქალი, ვინც ეს დისტანცია 1 წუთზე სწრაფად გაცურა. ეს მოხდა მელბურნში, 1962 წლის 27 ნოემბერს.

და სწორედ მელბურნი იყო, ოღონდ 1956 წლის ოლიმპიური მელბურნი, საიდანაც დაუნ ფრეზერის ოლიმპიური კარიერა დაიწყო. მაშინ მან 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ოქროს მედალი მსოფლიოს რეკორდით (1.02,0) მოიპოვა, მეორე იყო მისი თანაგუნდელი, მეგობარი და ძველი მეტოქე ლორეინ კრეპი. მერე, 400-მეტრიან დისტანციაზე მათ როლები გაცვალეს, ბოლოს კი, კიდევ ორ თანაგუნდელთან ერთად, საერთო ძალით, 4X200 მეტრზე მსოფლიოს რეკორდით გაიმარჯვეს.

მომდევნო ოლიმპიურ თამაშებზე რომში დაუნ ფრეზერმა ოლიმპიური რეკორდების ორგზის გაუმჯობესებით კვლავ გაიმარჯვა 100 მეტრზე (1.01,2), ხოლო 4X100 მეტრზე მეორე იყო.

1964 წელს ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე რომაული ისტორია განმეორდა (59,5), ოღონდ აქ უკვე სამჯერ გააუმჯობესა ოლიმპიური რეკორდი და საბოლოო ჯამში ფრეზერს ოთხ-ოთხი ოლიმპიური ოქროსა და ვერცხლის მედალი დაუგროვდა. არც მანამდე და არც მერე არცერთ ავსტრალიელ სპორტსმენს მსგავსი წარმატებისთვის არ მიუღწევია.

დაუნ ფრეზერს ზედიზედ თავის მეოთხე ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებაც შეეძლო, საამისოდ ბრძოლის შანსი რომ მიეცათ. მაშინ, მეხიკოს ოლიმპიადაზე ამერიკელმა იან ჰენმანმა 100 მეტრი ზუსტად 1 წუთში გაცურა და ჩემპიონი გახდა, ფრეზერი კი ამ დისტანციას წუთზე სწრაფად ცურავდა. მეტიც, იმ წელს დაუნმა თავისივე მსოფლიოს რეკორდი კვლავ გააუმჯობესა — 58,9. ბუნებრივია, ასეთი შედეგების მერე მისთვის მეხიკოში გამარჯვება ძნელი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ავსტრალიის ცურვის კავშირმა დისკვალიფიკაციით დასაჯა.

ფრეზერის დისკვალიფიკაცია ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე მის ერთ-ერთ „ცელქობას“ უკავშირდებოდა. თანამემამულე ჰოკეისტ დეს ფაიფერთან და გუნდის ექიმ ჰოვარდ ტონისთან ერთად ტოკიოს საიმპერატორო სასახლის მიდამოებში აღმართული დროშა სასუვენიროდ მოიპარა. უფრო სწორედ, საქმის შემსრულებლები ფაიფერი და ტონი იყვნენ, ფრეზერი კი მათთან იყო. პოლიციამ სამივე განყოფილებაში მიაბრძანა. როცა იაპონელმა სამართალდამცავებმა ბოროტმოქმედთა ვინაობა გაიგეს, გამხიარულდნენ და პატიმრებს ავტოგრაფები სთხოვეს. იმათაც არიგეს და არიგეს ავტოგრაფები. ეს — თქვენთვისო, ეს თქვენი შვილებისთვისო, ესეც თქვენი მეგობრებისა და მეზობლებისთვისო.



დაუნ ფრეზერი

ასე ტკბილად დასრულდა ეს ისტორია. დასრულდა პოლიციელებისთვის, თორემ ფრეზერს ავსტრალიის ცურვის კავშირმა ყოველივე ძვირად დაუჯინა. ჯერ იყო და, კავშირმა იმ ოლიმპიური თამაშების დახურვის ცერემონიალზე გასვლის უფლება არ მისცა, რასაც ფრეზერის თანაგუნდელებისა და გულშემატკივრების აღშფოთება მოჰყვა. პროტესტის ნიშნად ცერემონიალზე აღარც ფრეზერის სხვა თანაგუნდელები ლინდა მაკგეილი, ნენ დუნკანი და მარლენ დეიმენა გამოვიდნენ. კავშირს გული ვერც ფრეზერის ზედიზედ მესამე ოლიმპიადაზე გამარჯვებამ და ვერც საერთო ჯამში მერვე ოლიმპიურმა მედალმა მოულბო — შინ დაბრუნებულ ფრეზერს ათწლიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯა, რასაც მთელი ავსტრალიის აღშფოთება მოჰყვა. ყველანი სასჯელის მოხსნას მოითხოვდნენ და რაც მეტად ჯიუტობდა ცურვის კავშირი, ფრეზერის პოპულარობა მით უფრო იზრდებოდა. ოთხი წლის მერე, როგორც იქნა, ავსტრალიის ცურვის კავშირი გატყდა და ხალხის ნებას დაჰყვა, მაგრამ უკვე გვიან იყო, რადგან დისკვალიფიკაციის მოხსნა მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებს ველარ მოესწრო.

და რაკი ესოდენ ცნობილ სპორტსმენზე ვსაუბრობთ, უნდა გავიხსენოთ მის მიერ განვლილი ცხოვრების რამდენიმე საინტერესო მომენტი.

დაუნ ფრეზერი სიდნეის გარეუბან ბოლმეინში მცხოვრები რვაშვილიანი მუშათა ოჯახის ნაბოლარა იყო. ოთხ-ოთხ და-ძმას შორის ყველაზე სახელგანთქმული სწორედ ეს ნაბოლარა გამოვიდა.

დაუნი თავის უფროს ძმას, დონს აღმერთებდა. სწორედ მან ასწავლა ცურვა. დაუნს ზოგჯერ თომ ბოის ეძახდნენ, რაც ქალ-ბიჭას ნიშნავს. ეს სახელი იმიტომ შეარქვეს, რომ ძალიან ხშირად ბიჭებთან თამაშობდა, მათთან ერთად ვარჯიშობდა და ჯობნიდა კიდეც. თავად ეს ზედმეტსახელი სრულებითაც არ მოსწონდა, თუმცა, თვლიდა, რომ ბიჭებს ჯობდა და მართალიც იყო. მერე დაუნს თავისი საყვარელი ძმა, 21-ისა რომ იყო, ლეიკემიით გარდაეცვალა და მის სიკვდილს ლამის დარდით გადაჰყვა. და რაკი ძმას ძალიან უნდოდა, რომ დაუნი კარგი მოცურავე დამდგარიყო, მეტი მონდომებით დაიწყო ვარჯიში. სწორედ მაშინ შეხვდა თავის მომავალ მწვრთნელ ჰარი გალაჰერს. მერე დაუნი მასზე „ჩემი მშვენიერი ქალბატონის“ გავლენით ამბობდა, „ჩემი პერსონალური პროფესორი, ჩემი საყვარელი ჰიგინსიაო.“ მართლაც, ჰარი გალაჰერმა პროფესორ ჰიგინსივით გაამართლა.

დაუნი ტოკიოს ოლიმპიური თამაშების მერე გათხოვდა და შეეძინა შვილი — დაუნ ლარაინი, მაგრამ მეუღლეს მალევე დაშორდა.

რაკი ხელმოკლე, მრავალშვილიან ოჯახში იზრდებოდა, ფრეზერმა შესაფერისი განათლება ვერ მიიღო. ამიტომ ხან ყვლის მაღაზიაში მუშაობდა, ხან ბოლმეინის ბარებში. აქტიურ სპორტს რომ გამოეთხოვა, ავსტრალიელ ოლიმპიელთა კონსულტანტი გახდა და იქაური სპორტსმენები მას მუდამ რჩევებს ეკითხებოდნენ. დაუნს უმადლის თავის გამარჯვებას მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში ლინ მაკლემენტი. მასვე უმადლის გამარჯვებას მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ტყვიის სროლაში ივონ ჰილი, რომელიც გახდა პირველი ავსტრალიელი ქალი, ვინც ამ სახეობის ოლიმპიური ოქრო მოიგო. და რომ არა მოსკოვის ოლიმპიადისადმი ავსტრალიელთა ბოიკოტის წინააღმდეგ დაუნ ფრეზერის ბრძოლა და ივონ ჰილის შეგულიანება-გამხნევება, მისი ისტორია ვერ დაიწერებოდა.

სეულის ოლიმპიადაზე ფრეზერის შთაგონებით ავსტრალიელმა კალათბურთელმა ქალებმა საბჭოთა ნაკრებს სძლიეს (60:48). მერე იყო და ბარსელონას ოლიმპიადაზე ფრეზერმა თავისი ავტორიტეტით თანამემამულე ველოსიპედისტები პოლიციელთაგან იხსნა. განუზომელი ავტორიტეტის წყალობით 1988-91 წლებში თავის მშობლიური ახალი უელსის მხარის სახელით ავსტრალიის პარლამენტში მოხვდა. როცა პარლამენტარობა დასრულდა, სხვადასხვა ადმინისტრაციულ პოსტებზე კონსულტანტად მუშაობდა. დღეს კი მისი უმთავრესი როლი ეროვნული სპორტული ძლიერების განმტკიცებაა.

ერთხელ, როცა დაუნ ფრეზერს თავის წარმატებებზე ესაუბრებოდნენ, თქვა — ხელმოკლეობას რა ვუთხრა. მე მუშურ ოჯახში დავიბადე და ცხენოსნობაზე ვოცნებობდი, მაგრამ საამისო სახსრები სად იყო, ცურვას კი რა უნდა — ერთი საცურაო კოსტიუმი და პირსახოცი...

**ავთანდილ ჭყვიშელი**



დაუნ ფრეზერმა ტოკიოს ოლიმპიური თამაშების დახურვის ცერემონიალზე ავსტრალიის დროშის ფრიალით გული იჯერა



თანამემამულენი: დაუნ ფრეზერი (მარჯვნივ), მისი მემკვიდრე შეინ გოულდი (მარცხნივ), რომელმაც თავისი წინამორბედის მსოფლიოს რეკორდი ხუთჯერ გააუმჯობესა და ლიზბეტ ლენტონი, ვინც წლეულს დაამყარა მსოფლიოს რეკორდი

## ტურ დე ფრანსი 2004

# ფრანგული წვიმის ავსტრალიელი კაცი

ამიენიდან შარტრამდე გაჭიმულ 200-კილომეტრიან გზას გუშინ გვარიანად აწვიმდა, ქარიც უბერავდა და ტურ დე ფრანსის მე-5 ეტაპის მონაწილენიც გვარიანად გაწვალდნენ. მაგრამ ხანგრძლივ მარათონში ჩაბმულებმა იციან, რომ ბუნება არ იქნება მათ მიმართ ლმობიერი, ქარსა და წვიმას ვერსად გაექცევიან და ციკლონთა შემოტევისთვისაც მზად არიან.

ჰოდა, ქარ-წვიმიანი ეტაპისთვის ყველაზე მომზადებული ავსტრალიელი სტიუარტ ოგრეიდი აღმოჩნდა, ვინც სხვებზე პირველი მიქროლდა ფინიშთან. და სად იყო ამ დროს ყვითელმაისურიანი ლენს არმსტრონგი? სადღაც, მესამე ათეულში მივიდა ფინიშთან, მაგრამ ამის მადლობელიც უნდა იყოს, რაკი გზად კინაღამ გვარიან ხათაბალაში გაება.

სადღაც, შარტრთან ახლოს სახელიან მრბოლელებს ავარია მოუხდათ. ჯერჯერობით ჩრდილში მყოფი იტალიელი ალესანდრო პეტაკი, მე-2 ეტაპის მომგები რობი მაკივენი და სხვა წვრილწვრილი ლიფსიტები მოულოდნელად ერთმანეთში აიბურდნენ და შორიახლოს მიმავალ არმსტრონგს დიდი წინდახედულობის გამომჟღავნება მოუხდა ავარიისგან თავის დასაღწევად. უიღბლო მრბოლელებმა უმალვე წამოაყენეს თავის ორთვალები, მაგრამ წარმატებაზე მხოლოდ უმეცარი თუ იფიქრებდა.

მცირე ხნით ორიენტაციადაკარგულმა არმსტრონგმა სულმოუთქმელად კი ატრიალა პედლები, მაგრამ გალიდერებულ პელოტონს მაინც ვერ დაეწია და ყვითელი მაისურას გახდაც მოუხდა.

იგი ამ ეტაპის მე-4 ადგილზე გამსრულებელმა ფრანგმა ტომას ვეკლერმა მოირგო, ვინც ზედ ტურ დე ფრანსის წინ გახდა საფრანგეთის ჩემპიონი. არმსტრონგი კი პირველიდან მე-6 საფეხურზე ჩამოვარდა საერთო დავთარში, მაგრამ მისი გუნდის, „იუ ეს პოსტალის" სპორტული დირექტორი იოან ბრიუნელი მაინც კარგ ხასიათზეა და ამბობს, ლენსმა დროებით დათმო ლიდერობა, წინ უფრო სერიოზული ეტაპებია და მისთვის ემზადებაო.

სანამ არმსტრონგი სამომავლო რბოლებისთვის ემზადება, საფრანგეთი ხარობს, ჩვენს ტომას ვეკლერს როგორ შვენის ყვითელი მაისურაო.


REUTERS შარტრიდან

სტიუარტ ოგრეიდი

**მე-5 ეტაპი. 8 ივლისი**

**ამიენი — შარტრი**

1. სტიუარტ ოგრეიდი (ავსტრალია, კოფიდისი) 5სთ 05წთ 58წმ
2. იაკობ პილი იგივე დრო
3. სანდი სესარი (საფრანგეთი, FDJ) იგივე დრო

**საერთო ჩათვლა**

1. ტომას ვეკლერი (საფრანგეთი, ბულანი) 20სთ 03წთ 49წმ
2. სტიუარტ ოგრეიდი (ავსტრალია, კოფიდისი) +3წთ 11წმ
3. სანდი სესარი (საფრანგეთი, FDJ) +4წთ 05წმ

**ირაკლი პერტაია**



## მსოფლიოს ჩემპიონატი

ლიბია, ტრიპოლი 18 ივნისი — 13 ივლისი

ფინალი მეორე პარტია

რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) — მაიკლ ადამსი (ინგლისი) 1:0

საერთო ანგარიში 1,5:0,5

# ადამსს 45-ე აღარ გამოუვიდა

მსოფლიოს მეორე მოჭადრაკე ინდოელი ვიშვანათან ანანდი ფიდეს პრეზიდენტ კირსან ილუმჟინოვთან უთანხმოების გამო არ ჩავიდა ტრიპოლში, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც დიდი ყურადღებით ადევნებს თვალყურს ასპარეზობას და კომენტარებს არ ზარდება: „კასიმჯანოვი ამ ჩემპიონატზე საკმაოდ გონებაგახსნილია. მან უკვე რამდენჯერმე გაგვაოცა, როცა ივანჩუკი, გრიშჩუკი, ალმაში და ტოპალოვი გამოაგდო. როგორც ჩანს, საკმაოდ ძლიერი ნერვები აქვს" — თქვა ინდუსმა.

კასიმჯანოვი კი კვლავ შეუჩერებელია და საფინალო ექვსმატჩიან სერიაში ჩემპიონატის მეორენომერს დიდოსტატ მაიკლ ადამსს 1,5:0,5 უგებს.



ადამსის შეცდომა: 45-ე სვლაზე ეტლი c8-დან f8-ზე გადასვლა

მეტოქეებმა მესამე-მეოთხე სვლებზე თითო პაიკი გაცვალეს, თამაში გახსნეს და ადამსი მხედრებით იერიშზე გადავიდა. კასიმჯანოვი ყოჩაღად დახვდა მომხვდურთ, შეტევა მოიგერია და უკვე თვითონ წავიდა წინ. უკან არც ინგლისელმა დახია და პარტია ორმხრივ იერიშებში გაგრძელდა.

45-ე სვლაზე ადამსმა კონტრშეტევა წამოიწყო, c8 უჯრაზე მდგარი ეტლი აამოძრავა და f4-ზე მყოფ პაიკს დაემუქრა, ამით კი, როგორც შემდეგ გამოჩნდა, საბედისწერო შეცდომა დაუშვა, c ხაზზე მდგარ პაიკს მფარველი მოუხსნა და უზბეკს საქმე გაუიოლა. კასიმჯანოვმა გაცვლებს მიმართა, მალე უკეთესი პოზიცია მოიპოვა და 55-ე სვლაზე გამარჯვებაც იზეიმა.

**ლაშა ბებეშკორი**



# ფელპსს შვიდი ოქროც მცოტავება

**არაერთხელ** გვითქვამს, ამერიკელ მოცურავე მაიკლ ფელპსს ათენის ოლიმპიურ თამაშებზე თავისი სახელოვანი წინამორბედის მარკ სპიცის რეკორდის გამეორება განუზრახავსო. იგი ერთ ოლიმპიურ თამაშებზე 7 ოქროს მოპოვებას ვარაუდობდა, ახლა კი ფელპსი იქადნება, 7-ს კი არა, მეტ გამარჯვებასაც ვიზეიმებო.




მაიკლ ფელპსი



კეტი ჰოფი

REUTERS ლონგ ბიჩიდან

მანამდე 19 წლის ფელპსი ამერიკის პირველობაზე საოლიმპიადე გუნდში მოხვედრას 11 დისციპლინაში ცდილობს. ამიტომაც ჟურნალისტთა და სპეციალისტთა ყურადღება ლონგ ბიჩში მიმდინარე ამ შეჯიბრებაზე უწინარეს ყოვლისა სწორედ მისკენაა მიმართული. მაიკლმა 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში შარშანდელ მსოფლიოს თავისივე ჩემპიონატზე დამყარებული მსოფლიოს რეკორდი (4.09,09) გააუმჯობესა — 4.08,41.

„ჩემი მიზანი ის არ არის, რომ ისტორიაში შევიდე, როგორც მარკ სპიცის ტოლი და სწორი. ჩემი მთავარი ამოცანაა ამერიკაში ცურვა გადავაქციო ისეთ სახეობად, რომელსაც ოთხ წელიწადში ერთხელ კი არ იხსენებენ, არამედ რომლის მიმართაც მუდმივი მზერა იქნება მიპყრობილი. საამისოდ საუკეთესო საშუალებაა რაღაც ისეთის გაკეთება, რისთვისაც აქამდე არავის მიუღწევია" — თქვა მაიკლ ფელპსმა.

თავად მარკ სპიცი ამბობს, მოხარული ვიქნები, თუ ფელპსი ათენში 8 ოლიმპიურ ოქროს მოიგებს. ამით ჩემი მიღწევა კი არ გაფერმკრთალდება, არამედ პირიქით, უფრო თვალსაჩინო გახდებაო.

ლონგ ბიჩში გამართულ ამ ასპარეზობაზე კი რეკორდების დამყარებას სათავე დაუდო კეტი ჰოფმა, რომელმაც ასევე 400 მეტრზე ქალთა კომპლექსურ ცურვაში ამერიკის რეკორდი დაამყარა — 4.37,67. ეს შედეგი წლევანდელ სეზონში მსოფლიოში საუკეთესო მაჩვენებელიცაა.

**ავთანდილ ჭყვიშელი**





# შარაპოვას ოლიმპიადაზე არ უშვებენ

**იმის** მიუხედავად, რომ ბოლო ორი კვირის განმავლობაში ის ყველაზე პოპულარულ მეჩოგნედ იქცა და ალბათ არც ერთ ტურნირზე არავის ისე არ ელიან, როგორც მას, ათენის წლევანდელი ოლიმპიადის ორგანიზატორები ამბობენ, რომ მარია შარაპოვა მათ სამწყსოში ჩოგნის გაქნევას ვერ შეძლებს.

მიზეზი, რის გამოც უიმბლდონის ახლადგამომცხვარ ჩემპიონს ათენის ოლიმპიადაზე ვერ ვიხილავთ — როგორც ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივანი, დები ევანსი ამბობს — ის არის, რომ ყველა ადგილი უკვე განაწილებულია.

საოლიმპიადოდ განაცხადთა შეტანის უკანასკნელი ვადა 14 ივნისს ამოწურულა და რუს ქალთაგან, მაშინდელი რეიტინგმდგომარეობის შესაბამისად, იქ სათამაშოდ ოთხი — როლანგაროსობის ჩემპიონი ანასტასია მისკინა, მის მიერ ფინალში ძლეული ელენა დემენტიევა, ასევე ნადია პეტროვა და სვეტლანა კუზნეცოვა შერჩეულან.

თუკი ამ ოთხიდან რომელიმე ათენში გამგზავრებას ვერ შეძლებს, იმას ავტომატურად ვერა ზვონარიოვა ჩაენაცვლება — ეს იმიტომ, რომ 14 ივნისისთვის ის რეიტინგსიის მეთოთხმეტე ადგილზე იდგა, ხოლო შარაპოვა მეთხუთმეტეზე.

ასეთ შემთხვევაში საქმეს ეგებ საგანგებო საშვით შველოდა, მაგრამ როგორც იგევე დები ევანსი ბრძანებს, ყოველი ქვეყნიდან ტურნირზე მაქსიმუმ ოთხი მეჩოგნე შეიძლება იქნეს წარმოდგენილი.

მოკლედ — რამე თუ არ შეიცვალა და ყველაფერი ისე დარჩა, როგორც ახლაა, ათენის ოლიმპიადა თანამედროვე სპორტის ალბათ ყველაზე წანწკლა ათლეტს მოისაკლისებს. ეგ კი არც ორგანიზატორთათვის უნდა იყოს კარგი და არცთუ — რასაკვირველია — მაყურებლისთვის.




REUTERS ნიუ იორკიდან

თამაში მორჩა. ახლა შოუს დროა. უიმბლდონის რუსი პრიმა მარია შარაპოვა უკვე ნიუ იორკშია და „სიბიესის" „ადრიანი შოუს" ლაივში შებიჯებამდე თმას ისწორებს.

# პამპლონას ქუჩა

შვიდი ივლისი სან ფერმინის დაწყების დღეა და პამპლონას ქუჩებში კვლავაც გამოავდებენ ექვს გამძვინვარებულ ხარს, რათა იმათ გულად ბრბოსთან ერთად [illegible], სადაც კორიდა გახურდება. ამ დღეებში პამპლონაში უამრავი ტურისტი იყრის თავს, სან ფერმინის პოპულარობაში კი დიდი წვლილი ერნესტ ჰემინგუეის წიგნებს მიუძღვის.



REUTERS პამპლონიდან




REUTERS სეულიდან

კორეელ ბოდიბილდერთა ეროვნულ შეჯიბრში ბარე 160 კაცი და ქალი მონაწილეობდა, იმათ შორის კი კიმ დაესუკიც იყო, 49 წლის ქალი, რომელიც კორეის ქალთა დაკუნთვის სათავეებთან იდგა. ამიტომ, იქაური კულტურისტების ბებიადაც ჩაითვლება.

# სხვა ჯილდო

გასულ კვირაში ტიმ ჰენმანმა კიდევ ერთხელ გააცრუა ინგლისელთა იმედები და კვლავაც ვერ უწია უიმბლდონის ფინალს. თუმცა ჰენმანმა სხვა ჯილდო მიიღო: ბუკინგემის სასახლეში მან ბრიტანეთის იმპერიის ოფიცრის მედალი მიიღო თვით დედოფლის ხელიდან.



REUTERS ლონდონიდან

# პირველი

ამერიკაში უკვე გახურდა ნბა-ს გუნდების ზაფხულის თამაშები. „ორლანდომ" შინ წააგო „კლივლენდთან" და ეს თამაში პირველი იყო დრაფტის პირველი ნომრის დუაიტ ჰოვარდისთვის, რომელიც „ორლანდომ" აირჩია.



REUTERS ორლანდოდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge